პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა
5 აპრილი
№ 80 (18022)
ფასი 2 კაპ.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი — პრაქტიკულ საქმედ!

## დამკვრელური შრომით ვასახელოთ სამშობლო!

XI ხუთწლედის ჰორიზონტები




სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების მიხედვით მეთერთმეტე ხუთწლედში ელექტროენერგიის გამოშვება ჩვენს რესპუბლიკაში 1,2-ჯერ უნდა გაიზარდოს.

## ვაზის გაზაფხული

გაზაფხული ყოველთვის ხალისითა და იმედით შემოდის მეურნე კაცის ცხოვრებაში, მაგრამ იგი განსაკუთრებულია მევენახისათვის. თუნდაც იმიტომ, რომ გაზაფხულის დადგომისას მეზვრე უკვე რამდენჯერმე არის მისული თითოეულ ვაზთან და დიდი ოფლიც აქვს დაღვრილი.

მევენახე კაცის ფიქრები უკვე ძალუმად დასტრიალებს წლევანდელ სამეურნეო წელიწადს, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელიწადს, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორი ნაბიჯებით ვივლით ამ ხუთწლეულში. მეთერთმეტე ხუთწლედში კი სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა მევენახეებს (და არა მარტო მევენახეებს). მარტო წელს 780 ათასი ტონა ყურძენი უნდა დამზადდეს. მართალია შარშან რესპუბლიკის მეზვრეებმა უფრო მეტი ყურძენი დაამზადეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წელს ხელი ავიღოთ ახალ რეკორდებზე. მევენახეებმა თქვეს თავიანთი შრომითი სიტყვა და განსაკუთრებით მკაფიო იყო მათი წვლილი. მევენახეთა ღირსეული სახელი, დიდი შრომითა და გარჯით მოპოვებული, კიდევაც უნდა ამაღლდეს. და რა თქმა უნდა, ახალი მიჯნების დასაპყრობად ბრძოლა გრძელდება.

მევენახეები ღვიძლ საქმედ აღიქვამენ პარტიის გეგმებს. ესახელებათ რესპუბლიკის წინსვლაში მონაწილეობა. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ითქვა: „1972 წლიდან მოყოლებული საქართველოს ეკონომიკას ახასიათებს სახალხო მეურნეობის ყველა ძირითადი დარგის დინამიკური და პროპორციული განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდა“. თავისთავად იგულისხმება, რომ სხვა დარგებთან ერთად ეს უპირველესად მევენახეობაზე ითქმის. მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის მთავრობამ მიიღო ცნობილი დადგენილება საქართველოში სამხრეთული კულტურების წარმოების გადიდების შესახებ, რესპუბლიკაში მევენახეობას უფრო დიდი მომავალი ესახება.

ამდენად საქართველოს მევენახეთა შარშანდელი გამარჯვება სავსებით კანონიერი და გეგმაზომიერი იყო. იგი უნდა მივიჩნიოთ ნოყიერ და საიმედო ნიადაგად, რამაც ახლო მომავალში უნდა მოგვაკრეფინოს მილიონი ტონა ყურძენი.

რაღა თქმა უნდა, მილიონამდე მისასვლელი გზა ადვილად სავალი არ იქნება. შარშანდელი პოზიციის განსამტკიცებლად მევენახეებს დიდი გარჯა დასჭირდებათ. გარჯა ისეთი, რომ ყველამ ერთნაირად ღვაროს ოფლი, შარშან, როცა კახეთისა და იმერეთის რეგიონების მევენახეებმა ნავარაუდევზე მეტი ყურძენი მოიყვანეს, ქართლის რამდენიმე რაიონში ვენახებს კარგად ვერ მოუარეს და ამიტომ ვერც სახელმწიფო გეგმები შეასრულეს.

თუ საქართველოს ზვრების ამჟამინდელ მდგომარეობას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ბევრი რამ მოორდება. კვლავ კარგად უვლიან ვენახებს გურჯაანელი, წითელწყაროელი, ახმეტელი, ყვარლელი, საგარეჯოელი, თელაველი, სიღნაღელი, ბოლნისელი, ზესტაფონელი, თერჯოლელი და სხვა რაიონების მევენახეები.

25 მარტისათვის რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობების 95.928 ჰექტარი ვენახიდან ვაზი გახსნილი იყო 86.401 ჰექტარზე, რიგთშორისები დამუშავებულია 90.848 ჰექტარზე, დაბარული და გათოხნილია 56.000 ჰექტარზე. 60.000 ჰექტარ ვენახში შეტანილია მინერალური სასუქები, 4.552 ჰექტარზე— ორგანული სასუქები. ეს ციფრები მოწმობს, რომ ვენახების საგაზაფხულო დამუშავებაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. თუ კახეთის რაიონები ძირითადად მორჩნენ ვენახების ზამთრისა და გაზაფხულის მოვლითს სამუშაოებს და თანაც აგროტექნიკურ ვადებში, თუ ამ მხრივ შედარებით კარგი მდგომარეობაა ბოლნისის, ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ვანის, გეგეჭკორის რაიონებში, ამას ვერ ვიტყვით ქართლისა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონზე, სადაც ნელია ვენახების მოვლის ტემპი, სამუშაოებიც უხარისხოდ არის შესრულებული. ამბროლაურის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ფოსფორიანი სასუქები შეტანილია 32 ჰექტარზე, ხოლო ვაზის ძირების დამუშავების გეგმა მხოლოდ 25 პროცენტით შესრულდა.

სანახევროდ არის შესრულებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ვენახების დაბარვისა და ფოსფორიანი სასუქების შეტანის სამუშაოები, ხოლო კალიუმი სულ არა აქვთ ჯერ გამოყენებული.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ვაზის ძირები და რიგთაშორისები სანახევროდაც არა აქვთ დამუშავებული. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 462 ჰექტარი ზვრებიდან, რიგთშორისები მოხნულია 194 ჰექტარზე, ხოლო ვაზის ძირები დამუშავებული აქვთ მხოლოდ 15 ჰექტარზე. საზოგადოებრივი ვენახების მოვლა-დამუშავების საქმეში შეუწყნარებელი მდგომარეობაა თეთრი წყაროს რაიონში. აქ 773 ჰექტარიდან ვაზის ძირები დამუშავებულია მხოლოდ 195 ჰექტარზე, და ისიც უხარისხოდ. ვენახებში უმნიშვნელო რაოდენობით არის შეტანილი მინერალური სასუქები. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ცალკეულ მეურნეობებში: ასურეთის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი —ლ. ბრეგაძე) 168 ჰექტარიდან ვაზის ძირები დამუშავებულია მხოლოდ 6 ჰექტარზე. სასუქები არ შეუტანიათ 108 ჰექტარზე. გასხლულია უხარისხოდ, სიმეჩხრის წინააღმდეგ არავითარი ღონისძიება არ ხორციელდება, მეურნეობაში კი ვაზის სიმეჩხრე 25 პროცენტზე მეტია. უფრო მეტიც, მეურნეობის ახალშენ ვენახებში მოუვლელობის გამო ვაზის სიმეჩხრე 50 პროცენტს აჭარბებს. თეთრი წყაროს რაიონის ჯორჯიაშვილის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ე. ელბაქიძე) რთვლის შემდეგ 28 ჰექტარი ვენახი საერთოდ არ მოუხნავთ, ხოლო 118 ჰექტარიდან ვაზის ძირები გაკორძებულია 48 ჰექტარზე. სასუქები შეტანილია მხოლოდ 21 ჰექტარზე.

ასევე არასახარბიელო მდგომარეობაა დუშეთის რაიონის მჟადიჯვრის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი —ა. კულიხაშვილი), მიუხედავად იმისა, რომ აქვთ საყრდენი ბოძები და მავთული, 85 ჰექტარი ორწლიანი და სამწლიანი ვენახი გადასაყვანია შპალერზე, 160 ჰექტარზე კი ჩასმულია ბოძები, მაგრამ მავთული გასაბმელია. 50 ჰექტარი ვენახი დასაბარია.

კასპის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ჩამორჩება ნიადაგის დამუშავებისა და შპალერზე გადაყვანის სამუშაოები.

ვენახები დაუმუშავებელია ყარალეთისა და კასპის კოლმეურნეობებში, ქვათახევისა და კავთისხევის საბჭოთა მეურნეობებში.

მეთერთმეტე ხუთწლედი ერთობ რთული იქნება, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ყოველ ხუთწლედს თავისი სირთულეები ახლდა. საბჭოთა მშრომელმა ადამიანმა კი ყოველი მათგანი წარმატებით დაძლია. ეს ხუთწლედიც უნდა გვეიმედებოდეს. იმედს კი ჩვენვე უნდა ვჭედდეთ. ჩვენივე შრომით.

ახლა აპრილი სუნთქავს საქართველოს ზვრებში. დღემდე ნამდვილად ბევრი რამ კეთდება ჩვენებური ვაზის საკეთილდღეოდ, მაგრამ გასაკეთებელიც ჯერ კიდევ ბევრია.

რესპუბლიკის სასოფლო რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, მევენახეობის სპეციალისტებმა, ყველა მშრომელმა მთელი მონდომებითა და ენერგიის დაუზოგავად უნდა იშრომონ, რომ ჩვენი ზვრები უფრო ბარაქიანი იყოს.

საჭიროა თითოეული დღის მაქსიმალურად გამოყენება, ვენახების სამუშაოების ყოველმხრივ დაჩქარება, მშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება, სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაცია, მატერიალური და მორალური წახალისების პროგრესული ფორმების გამოყენება.

## მინისტრი გაემგზავრა

4 აპრილს სამშობლოში გაემგზავრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში იმყოფებოდა.

აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

## მეტი სახალხო მოხმარების საქონელი

**გასულ ხუთწლედში რესპუბლიკაში გამოშვებულია 13,9 მილიარდი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი, რაც ოთხი მილიონი მანეთით მეტია წინა ხუთწლეულთან შედარებით.** სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების საკითხებზე რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ეს ფაქტი და ილაპარაკეს იმ რეზერვებზე, რომლებიც უნდა აამოქმედონ, რათა შეასრულონ ახალ ხუთწლედში დასახული ამოცანები.

### რეზერვები — საქმეში

— ჩვენი პარტიის ყოველ ყრილობასთან დაკავშირებულია საბჭოთა და, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ახალი ეტაპი. გასულ ხუთწლედში უპირატესი ტემპით ვითარდებოდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოება. ხუთწლიანი დავალების გადაჭარბებით გამოშვებულია თითქმის 40 მილიონი მანეთის საქონელი, — აღნიშნა თავის მოხსენებაში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ქვილითაიამ.

პროდუქციის წარმოების ტემპის დაჩქარების, მისი ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა განაახლეს და გააფართოეს ტრიკოტაჟისა და შეკერილი ნაწარმის, საბავშვო საქონლის, ტყავის მრეწველობის ნაწარმის ასორტიმენტი. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს თბილისის კერამიკულმა კომბინატმა აითვისა ახალი მოსაპირკეთებელი მოჭიქული ფილების წარმოება. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა განაახლეს და გააფართოეს სათამაშოების, უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული დანა-ჩანგლის ასორტიმენტი. მძიმე მრეწველობის მთელმა რიგმა საწარმოებმა მოაგვარეს ყოველდღიური მოთხოვნის საქონლის გამოშვება.

წარმოებაში მოაქციეს ადგილობრივი სანედლეულო რესურსები და მეორეული ნედლეული. მაგალითად, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 1980 წელს ადგილობრივი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენებისაგან დამზადებული ნაწარმის გამოშვებამ საერთო მოცულობის 20 პროცენტს გადააჭარბა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების მაჩვენებელს.

დადებითი ძვრებია მიღწეული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. ახლა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა შეადგენს დაახლოებით 21 პროცენტს, საიდანაც სახალხო მოხმარების საქონლის წილად 64 პროცენტი მოდის.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ არის ხარისხოვანი საქონლის გამოშვების გადიდების დიდი შესაძლებლობანი. მართალია, მთლიანად რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების შარშანდელი დავალება შესრულდა, მაგრამ ცალკეულმა საწარმოებმა — ძირითადად საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა — ამ დავალებას თავი ვერ გაართვეს. სახსტანდარტის რესპუბლიკურმა სამმართველომ, საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ და სხვა მაკონტროლებელმა ორგანოებმა მოაწყეს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის შემოწმება, რომლის შედეგები მოწმობს, რომ ჯერჯერობით მაღალია იმ პროდუქციის ხვედრითი წონა, რომელიც არ შეესაბამება ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს. ამ უბნებზე მუშაობის გაუმჯობესება მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვია.

### გეგმები რეალურია

მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია შარშანდელთან შედარებით დამზადდეს 183,5 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სახალხო მოხმარების საქონელი. უპირატესი ტემპით დამზადდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი. 30 პროცენტით განახლდება მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ასორტიმენტი. გათვალისწინებულია ასზე მეტი დასახელების ახალი ნაწარმის, კერძოდ, ავეჯის კომპლექტების, საყოფაცხოვრებო შუქტექნიკის, პლასტმასის ნაწარმის, საბავშვო სათამაშოების, შპალერის, სხვადასხვა სუვენირისა და სხვა საქონლის წარმოების ათვისება.

მასობრივი მოთხოვნის საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის რესპუბლიკის მთავრობა დამატებით გამოყოფს მნიშვნელოვან სახსრებს.

როგორც თათბირზე აღინიშნა, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმები რეალურია. საჭიროა უნარიანად მოვაგვაროთ მათი შესრულება. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა მილიონ მანეთისაზე მეტი კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი. მაგრამ ყველა საწარმო წარმატებით როდი წყვეტს ამ პრობლემას. ჩამორჩენილთა შორის არის მსუბუქი, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთი საწარმო, საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმი“.

### წარმატების გზაა შეჯიბრება

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკის მრეწველობა 34,2 პროცენტით გაზრდის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას — ეს დაახლოებით ხუთი პროცენტით აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საქონლის გამოშვებას, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნა ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება.

ეს ამოცანები რომ შევასრულოთ, უნდა შევქმნათ დამატებითი სიმძლავრენი, მეტად ვიზრუნოთ მოქმედ საწარმოთა გაფართოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის, იმ მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვებას.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრებია მოსალოდნელი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, რომელთა წილად მოდის საქართველოში დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის დაახლოებით 22 პროცენტი. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას აპირებენ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები. ვანში დამთავრდება პოდოლსკის საყოფაცხოვრებო შუქტექნიკის ქარხნის ფილიალის პირველი რიგის მშენებლობა. ქარხანა „ელექტროშედუღებაში“ დასახულია ელექტროსათბობი საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების დამამზადებელი კორპუსის მშენებლობა, რუსთავში აპირებენ მოაწყონ გალვანური ელემენტების წარმოება.

რესპუბლიკაში ყველა შესაძლებლობაა იმისათვის, რომ უთუოდ გადაიჭრას ყოველდღიური მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების პრობლემები — ასეთია თათბირის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი. საჭიროა, რომ ეს შესაძლებლობანი უფრო სრულად გამოვიყენოთ. საწარმოების ხელმძღვანელებმა პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სათანადოდ უნდა მოაგვარონ შეჯიბრება საგეგმო დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ყველა მშრომელი დარაზმონ, რათა შემოქმედებითად მოეკიდონ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ჩითანავამ. (საქინფორმი).

## ლენინური შაბათობა გვიხმობს

● ტყიბული. (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). მოსკოველთა ინიციატივას — ორგანიზებულად მოაწყონ 18 აპრილს კომუნისტური შაბათობა — ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ქალაქის ყველაზე დიდი და შრომითი ტრადიციების მქონე სამთო საწარმოს — ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის მოწინავე კოლექტივი.

წინასწარი გეგმის მიხედვით „წითელ შაბათობაში“ მონაწილეობას მიიღებს 750 მეშახტე, აქედან 480 კაცი სანგრევში ქვანახშირის მოპოვებაზე იშრომებს. ისინი მთელი დღეღამის განმავლობაში ამოიღებენ 1750 ტონა საკოქსე ქვანახშირს, გაცილებით მეტს ვიდრე შარშანდელ შაბათობაზე.

● ცხინვალი. („კომუნისტის“ საკ. კორ. გ. თედეევი). წლევანდელ წითელ შაბათობაში 120 მშენებელი მიიღებს მონაწილეობას. ისინი ძირითადად იმუშავებენ თიხრევის პროფტექნიკური სასწავლებლის, ცხინვალის სავაჭრო ბაზის, ბერულის სასოფლო საბჭოს, ერედვის საბავშვო ბაღის, კეხვის საშუალო სკოლის მშენებლობებზე. შესრულდება 5 ათასი მანეთის სამუშაოები. აქედან 300 მანეთი გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში. ასეთია სამხრეთ ოსეთის სასოფლო მშენებლობის ტრესტის № 24 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მშრომელთა პატრიოტული სურვილი.

● კასპი. (საკ. კორ გ. ვაშაკიძე). ქარხანა „ელექტროაპარატში“ ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატის ბ. ხუციშვილის მეამწყობ ზეინკალთა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა მრავალბლოკიანი მართვის ფარების გამოშვების თვიური დავალება 18 აპრილისათვის შეასრულოს.

ამ დღეს სამუშაოზე 400-ზე მეტი კაცი გამოვა. ისინი 60 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციას გამოუშვებენ და ხუთწლედის ფონდში 1700 მანეთს გადარიცხავენ.

## წიაღის მზვერავთა დღესასწაული

### მოსკოვი

ქვეყნის მინერალური ნედლეულის ბაზის განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გეოლოგებს. პარტიის XXVI ყრილობამ დარგს ახალი ამოცანები დაუსახა. დასახულია, უწინარეს ყოვლისა, გაიზარდოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზვერილი მარაგი. განხორციელდება ნავთობისა და გაზის საბადოების გამოვლენის ღონისძიებანი დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, ქვეყნის ევროპულ ნაწილში, სხვა რაიონებში.

ეს თქვეს საზეიმო კრების მონაწილეებმა, რომელიც მიეძღვნა წიაღის მზვერავთა პროფესიულ დღესასწაულს—გეოლოგის დღეს. იგი 3 აპრილს გაიმართა მოსკოვში.

პრეზიდიუმში იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ი. პ. იასტრებოვი, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრმა ე. ა. კოზლოვსკიმ.

წიაღის მზვერავებმა სამშობლოს აღუთქვეს, რომ პირნათლად შეასრულებენ სკკპ XXVI ყრილობის მიერ დარგის წინაშე დასახულ ამოცანებს. (საკდესის კორ.).

### თბილისი

საუცხოო მაჩვენებლებით დაამთავრეს მეათე ხუთწლედი ქართველმა გეოლოგებმა. ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდა ყველა საწარმოო მაჩვენებლის მიხედვით. ამის შესახებ ლაპარაკობდნენ თავიანთი დღესასწაულის — გეოლოგის დღის წინ რესპუბლიკის წიაღის მზვერავები.

საზეიმო კრება, რომელიც რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა, გახსნა საქართველოს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. გოჩიაშვილმა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კრების მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი დ. ჩხეიძე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. ნაზაროვი, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კაჭარავა, ჭიათურის გეოლოგიური პარტიის ბურღვის ოსტატი პ. აბრამიშვილი.

მოხსენება განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობისა და მომავლის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსმა ი. გოგიტიძემ.

საზეიმო კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია და საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. ხაზარაძე. (საქინფორმი).



5 აპრილი გეოლოგის დღეა

## უშრეტი სიმდიდრის მაძიებელნი

უცნაურია დედამიწა... გულში ათასგვარი სიმდიდრე დაუფარავს, თითქოს გამხელის ეშინიაო, არავის ანდობს საიდუმლოს, ძუნწი კაცივით ჩაბღაუჭებია განძეულობას, ადამიანთა მოდგმისათვის კი თავსატეხი გაუჩენია — მოდი და შენ თვითონ მიაკვლიეო, ჰოდა მკვლევარნიც ბლომად არიან — განათლებული ადამიანები, თავისი საქმის კარგი სპეციალისტები. ისინი სადღაც დაბურულ ტყესა თუ მდინარისაგან ჩახერგილ ხეობაში ეძიებენ წიაღისეულს. გეოლოგი რომანტიკითა და ვაჟკაცური შემართებით არის განმსჭვალული, საქმის სირთულე მოთმინებასთან ერთად მუდამ შობს სულის სიმტკიცესა და გამძლეობას.

მათ აპრილის პირველი კვირა აურჩევიათ თავიანთი ზეიმის დღედ, არც არის გასაკვირი, რადგან ამ ლამაზ თვეში იწყება მათი ნამდვილი ყველაზე ინტენსიური საქმიანობა...

დიდია გეოლოგების წვლილი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში. საქართველოს გეოლოგები დაუღალავად შრომობენ. მათი გარჯის შედეგია სასარგებლო წიაღისეულთა მრავალი საბადოს აღმოჩენა და ხალხის სამსახურში ჩაყენება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია შავი და ფერადი მეტალურგიის, თბოენერგეტიკული, ქიმიური, საშენი მასალების მრეწველობის განვითარება. ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგებმა წარმატებით შეასრულეს მეათე ხუთწლედის გეგმა. იგი ითვალისწინებდა სასარგებლო წიაღისეულის სივრცობრივი განლაგების კანონზომიერების შესწავლას ახალი კრიტერიუმებისა და მეცნიერული პროგნოზირების დადგენით, საძიებო-სადაზვერვო სამუშაოების გაძლიერებას მინერალური ნედლეულის ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის, ეკონომიკურად ხელსაყრელი სასარგებლო წიაღისეულის ძებნასა და სამრეწველო ათვისებას.

მეთერთმეტე ხუთწლედში მათ კიდევ მეტი აქვთ გასაკეთებელი. როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ითქვა, კვლავ გაგრძელდება მეტალურგიული მრეწველობის ტექნიკური განახლება. იგეგმება ჭიათურის საბადოს მანგანუმის მოპოვების დონის შენარჩუნება და ამასთანავე ყვირილის დეპრესიის ახალი ფენების ათვისების ტექნიკური ეკონომიკური დასაბუთების შემუშავება. ყოველივე ეს უზრუნველყოფს შავი მეტალურგიის წარმოების მოცულობის გადიდებას 22 პროცენტით.

ფერად მეტალურგიაში გათვალისწინებულია მადნეულის საბადოს ოქროს შემცველი კვარციტების მოპოვების, კვაისის ტყვია-თუთიის მადნის გადამუშავების გადიდება, სპილენძის მადნის მოპოვება-გადამუშავების საპროექტო სიმძლავრის ათვისება. გათვალისწინებულია ბარიტისა და კალციტის საძიებო სამუშაოების ტემპის დაჩქარება. ეს ნედლეული საჭიროა „ქუთბარიტის“ წარმოების მოცულობის გასადიდებლად. ასევე ნავარაუდევია ახალი თერმული წყლების გამოვლინების სამუშაოების განხორციელება...

ჩვენი გეოლოგების ერთ-ერთი სამუშაო ობიექტი ბოლნისშია განლაგებული. აქ შრომობს მცირე კავკასიონის კომპლექსური გეოლოგიური ექსპედიცია (უფროსი — მ. ჭოხონელიძე). ისინი 15 ათას კვადრატულ კილომეტრ ფართობზე ეწევიან გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს. ბოლნისი ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი კერაა. ეს მადლიანი კუთხე კარგა ხანია გეოლოგთა ყურადღების ცენტრშია. წლების მანძილზე აქ მიმდინარეობს გეოლოგიური საძიებო-სადაზვერვო სამუშაოები, რაც განპირობებულია 50-იან წლებში აღმოჩენილი და 60-იან წლებში დამტკიცებული მადნეულის სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს აღმოჩენით.

მნახველის თვალს ხიბლავს გეოლოგთა დასახლება. ერთმანეთთან მიდგმული კოხტა ოდა-სახლები. მეგზურობას გვიწევს და გეოლოგთა ცხოვრებას გვაცნობს მცირე კავკასიონის კომპლექსური ექსპედიციის მთავარი გეოლოგი ავთანდილ სუხიშვილი. საუბარში მიხვდებით, თუ რა ძლიერ უყვარს მას თავისი საქმე და ის ადამიანები, რომლებიც ამ კოლექტივში შრომობენ. იგი ნამდვილი გეოლოგის ცხოვრებით ცხოვრობს და სხვანაირად ვერც წარმოუდგენია. ახლა მცირე კავკასიონის კომპლექსურ ექსპედიციაში 600-მდე კაცი შრომობს. ისინი სპილენძის, ტყვია-თუთიის, ბარიტებისა და სხვა საბადოების ძებნასთან ერთად კეთილშობილ ლითონებსაც ეძებენ, ამისათვის მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

ბოლნისი ფერადი მეტალურგიის ერთ-ერთი უდიდესი პუნქტია საქართველოში. [illegible] ცანაა საბადოს მინერალური ნედლეულის ბაზის შემდგომი განმტკიცება.

ავთანდილ სუხიშვილს ერთ-ერთ საძიებო გეოლოგიურ პარტიაში მეგზურობა ვთხოვეთ. მან მალე გაგვაცნო ფოლადაურის მოწინავე საძიებო გეოლოგიური პარტიის უფროსი ჯონდო ანთაძე. ყოფილ სპორტსმენს, ცნობილ კალათბურთელს ახლა გამოცდილ გეოლოგს საინტერესო შრომითი გზა აქვს განვლილი, ჯერ მუშად მუშაობდა, მერე უმცროს გეოლოგად, შემდეგ მთავარ გეოლოგად. 4 წელი კი ალჟირში დაჰყო.

მაშავერას ხეობა გავიარეთ, მძღოლ დათო გოცირიძის „გაზ-69“-ს ციცაბო აღმართის ავლა გაუჭირდა, მაგრამ მაინც შევძელით ჭაბურღილთან მისვლა. სხვადასხვა სამუშაო ადგილზე დაგვხვდნენ აბრამ ცარიტოვისა და ივანე კოროტკოვის ბრიგადები. ივანე კოროტკოვის ბრიგადა საყოველთაოდ ცნობილია. ბურღვის პროგრესული მეთოდი ამიერკავკასიაში პირველად კოროტკოვის ბრიგადამ დანერგა. ბურღვის უფროსი ოსტატი ლენინის ორდენოსანი აბრამ ცარიტოვი კი თავის შვილთან ერთად შრომობს ჭაბურღილზე. იგი ბევრჯერ ყოფილა დედამიწის გულში ნაპოვნი სიმდიდრის მახარობელი.

ფოლადაურის საძიებო გეოლოგიურმა პარტიამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულა, ბურღვის გეგმა — 138 პროცენტით, სამთო სამუშაოებისა —130 პროცენტით.

გეოლოგისათვის სამუშაოდ ხელსაყრელი ამინდები დადგა.

მოლოდინის გამართლებას გისურვებთ, ქართველო გეოლოგებო!

ლ. ქინქლაძე.

●●

სურათზე (მარცხნიდან): ბურღვის უფროსი ოსტატი, ლენინის ორდენოსანი ა. ცარიტოვი, მბურღავები ა. შუბითიძე, გ. დემურაშვილი და ბრიგადირი ვ. კოროტკოვი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი — პრაქტიკულ საქმედ!

## დელეგატის გეგმები და საქმეები

# ფრთაშესხმული ოცნების მადლი

**სამ** კვირაზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ XXVI ყრილობამ. საბჭოეთის კომუნისტთა ამ უაღრესად საქმიანმა ფორუმმა საფუძვლიანად გააანალიზა მეათე ხუთწლედში გაწეული მუშაობა, შეაჯამა მისი შედეგები და დასახა ახალი წარმატებების მოპოვების გზები და საშუალებები, კომუნისტური აღმშენებლობის ნათელი პერსპექტივები. პირადად ჩემთვის და, საერთოდ, ამ ყრილობაზე საქართველოს კომპარტიისაგან წარგზავნილი ნებისმიერი დელეგატისათვის მეტად სასიამოვნო და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობის დამკისრებელი იყო ის მაღალი შეფასება, რომელიც ყრილობაზე ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, შრომითი კოლექტივების მუშაობას მიეცა.

და აი კიდევ ერთი ნათელი აღიარება საბჭოთა საქართველოს მშრომელთა თავდადებული შრომისა — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ახლახან გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ზედიზედ მერვედ გადმოგვეცა.

ეს მართლაც დიდი გამარჯვებაა, და მით უფრო გვეამაყება, რომ ამ წარმატებაში ჩვენი რაიონის მშრომელებსაც მიუძღვით წვლილი. მეათე ხუთწლედში რაიონის მშომელთა მიერ მოპოვებულ წარმატებებს კი 1975 წლის აგვისტოს გამართულმა პარტიის რაიკომის პლენუმმა დაუდო სათავე. ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის გამოსვლაში ჩამოაყალიბა მთლიანად კოლხეთის და, კერძოდ, ხობის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ნათელი პროგრამა მეათე ხუთწლედისა და შემდგომი პერიოდისათვის. გარდა ამისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უკანასკნელ წლებში რამდენჯერმე განიხილეს ხობის რაიონის შემდგომი აღმავლობის აქტუალური საკითხები და მიიღეს სპეციალური დადგენილებები.

სწორედ ჩვენი რაიონისადმი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ასეთი ყურადღებისა და პრაქტიკული დახმარების შედეგია ის, რომ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს ვუპატაკეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება. სოფლის მეურნეობაში კი ხუთწლედის მიჯნები ოთხ წელიწადში დაილაშქრა. რაიონის მშრომელებმა ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით აწარმოვეს 21 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სოფლის მეურნეობის და 16 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

აქვე უნდა ითქვას, რომ რაიონისადმი დახმარება გამოიკვეთა არა მარტო სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში, არამედ ყველა სხვა უბანზე, დარგში. ამის შედეგია თუნდაც ის, რომ შემცირდა მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად მიგრაცია, ახლა სოფლებში უფრო უკეთ და შემოქმედებითად იყენებენ თავისუფალ დროს. დღეს ყველა პირობაა იმისა, რომ დაბა ხობი, რომელიც უყურადღებობის გამო ერთ დროს რესპუბლიკის რუკიდან კინაღამ გაქრა, ახალ ხუთწლედში კოლხეთის ცენტრის კეთილმოწყობილ ქალაქად გარდაიქმნას.

პარტიის რაიკომი, პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებიც გრძნობდნენ ასეთ მხარდაჭერასა და დახმარებას, ყოველ ღონეს ხმარობდნენ მუშაობის უკეთ მოწყობისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის, ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. ამ საკითხებს რეგულარულად განვიხილავდით რაიკომის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, სამეურნეო ხელმძღვანელთა სემინარულ მეცადინეობებზე. მიღებული გადაწყვეტილებები წარმატებით ინერგებოდა პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობაში, ამაღლებდა მათ მუშაობას, უფრო კომპეტენტურს ხდიდა ეკონომიკისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას, ხელს უწყობდა მშრომელთა აქტიურობის ამაღლებას.

სკკპ XXVI ყრილობის დახურვისას წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, როდესაც ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა არის საჭირო მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულებისათვის, თქვა, რომ გვჭირდება „დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და მტკიცე, ნამდვილად კომუნისტური, შეგნებული დისციპლინა. მაგრამ, რა თქმა უნდა, არანაკლებ საჭიროა აზრის აღმაფრენა, სიახლის დაუცხრომელი ძიება, ამ სიახლის მხარდაჭერა. გვჭირდება მუდმივი ინიციატივა — ინიციატივა ყველგან და ყველაფერში".

ეს მართლაც ყველა ჩვენი წარმატების თავიდათავია. სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიის რაიკომი, პირველადი პარტორგანიზაციები ყოველნაირად უჭერდნენ მხარს მშრომელი მასების შუაგულში შობილ თაოსნობებს, ახალისებდნენ ინიციატორებს. სწორედ ასე იშვა და შემდეგ პრაქტიკულად განხორციელდა კიდეც რაიონის მშრომელთა შესანიშნავი ინიციატივა ხუთწლიანი გეგმების ოთხ წელიწადში შესრულების, გეგმის გადამეტებით 16 მილიონი მანეთის სამრეწველო და 21 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის და სხვ.

ფრთა შეისხა ხობელთა ინიციატივამაც საკუთარი წარმოების საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე იმ თაოსნობამ, რომ სოციალისტურ ვალდებულებებს კანონის ძალა მინიჭებოდა და სახელმწიფო გეგმად ჩათვლილიყო. ამ და სხვა სიახლეთა დანერგვითა და განხორციელებით შესანიშნავი მაჩვენებლები მოიპოვეს ჩვენმა მეჩაიეებმა, მეციტრუსეებმა, მედაფნეებმა, მეაბრეშუმეებმა, მესიმინდეებმა და მეცხოველეებმა. ყოველივე ამის შედეგია, რომ ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე რაიონი ზედიზედ ჯილდოვდება საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშით.

ინიციატივა, რა თქმა უნდა, კარგია და საჭიროც არის, მაგრამ საქმეს არანაკლებ არგებს სხვათა მოწინავე გამოცდილების გაზიარება-დანერგვა. ამას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, ვცდილობთ ყოველივე კარგი, რაც კი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე მოიპოვეს, გადმოვიღოთ, ჩვენს კონკრეტულ პირობებს მოვუსადაგოთ და გამოვიყენოთ. მაგალითად, როცა აბაშელთა გამოცდილება საქვეყნოდ ცნობილი გახდა, მათ ერთ-ერთმა პირველებმა ჩვენ მივბაძეთ და ამის წყალობით მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, სამეურნეო მაჩვენებლები.

პარტიის რაიკომმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის, იმ რეზერვებისა და შესაძლებლობების დროზე გამოძებნისა და ამოქმედებისათვის, რომლებიც ხელს უწყობს მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. ეს კი მეტად საჭიროა, რადგან მეთერთმეტე ხუთწლედში რაიონის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. და სწორედ რეზერვების ძიება და ამოქმედება მნიშვნელოვნად დაგვეხმარება მათ წარმატებით გადაჭრაში.

— „საქართველოს სს რესპუბლიკაში... განვახორციელოთ სამუშაოები კოლხეთის დაბლობის დასაშრობად და ასათვისებლად. 35 ათას ჰექტარ ფართობზე", — ნათქვამია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში. აქედან მარტო ჩვენ მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე უნდა ავითვისოთ 1850 ჰექტარი ახალი მიწის ფართობი, 7.050 ჰექტარზე უნდა განხორციელდეს რეკონსტრუქციისა და მოქმედი დასაშრობი სისტემის აღდგენითი სამუშაოები. ამ მნიშვნელოვან საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვან „საქმთავარწყალმშენმა". „საქსახწყალპროექტის" ინსტიტუტმა, „საქსახსოფლმშენმა" და სხვა ორგანოებმა.

აგროსამრეწველო ინტეგრაციის, სასურსათო პროგრამისა და მოსახლეობასთან გაბედული კოოპერირების ამოცანები მოითხოვს, რომ დაჩქარდეს ჭარბტენიანი მიწების მელიორაციის სამუშაოები. ამისათვის კი წლევანდელი წლიდან დაწყებული ყოველწლიურად უნდა ამოქმედდეს სულ ცოტა 2 ათასი ჰექტარი ახალი მიწის ფართობი. ეს კი მეტი მარცვლეული, პირუტყვის საკვები, სიმინდი, ჩაი, ციტრუსი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტებია, რომელთა წარმოების რეალური შესაძლებლობა გვაქვს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების წარმოების გადიდების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება როგორც მთელ ჩვენს რესპუბლიკას, ისე ხობის რაიონსაც დიდ ამოცანებს უსახავს. ამ დადგენილების საფუძველზე, რომელიც ყრილობის დირექტივებშიაც აისახა, გათვალისწინებულია, რომ 1981-1985 წლებისათვის რაიონში ჩაის ახალი პლანტაციები 350-500 ჰექტარზე გაშენდეს. რაიონში შეიქმნა პატარა ფოთის ლენინური კომკავშირის სახელობის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც 1981-1985 წლებში უნდა მიემატოს 850 ჰექტარი ახლად დაშრობილი ფართობი. ასევე ახალ ხუთწლედში უნდა ჩამოყალიბდეს ჩაის საბჭოთა მეურნეობა „ოქროს საწმისი", ხოლო 2.425 ჰექტარ ახლად დაშრობილ და რეკონსტრუირებულ ფართობზე გაშენდება მრავალწლოვანი ნარგავები. ეს კი ბევრ საზრუნავს უჩენს ჩვენს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სპეციალისტებს, დარგის ხელმძღვანელებს...

დიახ, ამოცანები და პერსპექტივები მართლაც დიდია, რომელთა განხორციელებისათვის საჭირო მტკიცე საძირკვლის შესაქმნელად ამთავითვე მიმდინარეობს მუშაობა. რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს, რომ 1981 წლის მაისში, როცა საქართველოს გასაბჭოებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავი აღინიშნება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შეასრულონ 6 თვის გეგმები. გარდა ამისა, ამოქმედდება რაიონის შესანიშნავი კულტურის სასახლე, რომელსაც ექნება 600-ადგილიანი ძირითადი და 250-ადგილიანი მცირე დარბაზები.

საექსპლოატაციოდ გადაეცემა საცურაო სპორტული კომპლექსი „იმედი" რაიონული საქვაბით, გაშენდება კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, კეთილმოეწყობა დაბის შემოვლითი სანაპირო გზა, რაიონული სტადიონი, გაიხსნება კოლხეთის ათვისების ისტორიის მუზეუმის პირველი რიგი, ალიო მირცხულავას და პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმები და სხვ.

მიმდინარე ეტაპზე რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური კადრების ყურადღება მიპყრობილია იმისადმი, რომ გულმოდგინედ გააცნონ მშრომელებს სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების ისტორიული დადგენილებები. ამ მოვლენებს ეძღვნება ამჟამად პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, ერთიანი პოლიტდღეები, ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები, საუბრები...

და სწორედ აქ იგრძნობა ყველაზე ნათლად რაიონის მშრომელების, კომუნისტების ერთსულოვნება, მზადყოფნა — ყოველი ღონე იხმარონ პარტიის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა, სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამის საუკეთესო დადასტურება კი კარგი შრომითი მაჩვენებლებია, რომლებიც მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მოვიპოვეთ.

**ნ. ნადარაია,**
საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი.

## სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

**გაიმართა** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი — სასამართლოების ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებათა შესაბამისად სასამართლოს საქმიანობა მაქსიმალურად უნდა უპასუხებდეს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანებს. პლენუმმა სასამართლოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უნდა ამაღლდეს მათი პასუხისმგებლობა, საქმეების გადაწყვეტისას კანონების სწორი გამოყენებისათვის, სასამართლო პროცესების გამაფრთხილებელ-აღმზრდელობითი ზემოქმედების უმეტესი ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის. და აღინიშნა, რომ უსათუოდ უნდა განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებანი დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში. სასამართლოებს წინადადება მიეცათ ზუსტად და განუხრელად გამოიყენონ კანონები, რომლებიც ხელს უწყობს სოციალისტური ქონების დაცვას, უყაირათობის, მფლანგველობის, მექრთამეობის, სპეკულაციის, სხვადასხვა ბოროტმოქმედების აღმოფხვრას ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების ცვლილებათა და დამატებათა გამო პლენუმმა განიხილა პრაქტიკა, თუ როგორ იყენებენ სასამართლოები კანონმდებლობას დავის განხილვისას. (საქდესი).

## საარის დღეები საქართველოში

**„თბილისისა** და საარბრუკენის ძმობა გასცდა ქალაქების ფარგლებს: დღეს მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს საარელებს ქართველ ხალხთან", — დასავლეთ გერმანიის საარის მხარის დელეგაციის მეთაურის, „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის" მეგობრობის საზოგადოების საარის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტის ლ. ბისის ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს ატმოსფეროს, რომელშიც მიმდინარეობს საარის დღეები ჩვენს რესპუბლიკაში.

ოფიციალური საუბრის ფარგლებს გასცდა 4 აპრილს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში გამართული შეხვედრა. სტუმრებმა დიდი ინტერესით მოისმინეს თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნ. ნეფედოვის ნაამბობი საქართველოს დედაქალაქის სახელოვანი ისტორიის, მისი აწმყოს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისათვის ქალაქის მზადების შესახებ. ნ. ნეფედოვმა სტუმრებს გააცნო საქალაქო მმართველობის სტრუქტურა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების —სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობა.

დელეგაციის სახელით ლ. ბისმა მადლობა გადაიხადა მასპინძლობისათვის და მიესალმა საარბრუკენის მერის ოსკარ ლაფონტენის სახელით. „უკანასკნელი წლების მანძილზე საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში ერთგვარი მოდუნება შეიმჩნევა, თქვა მან. — ჩვენ ვესწრაფვით ურთიერთგაგებას საბჭოთა ადამიანებთან. აქ, თბილისში, ვგრძნობ თუ როგორ დნება უნდობლობის ყინული ჩვენი გულთბილი შეხვედრების ზემოქმედებით. ეს უბრალო მეგობრული კონტაქტები როდია—საარის დღეები საქართველოში ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცების საქმეს. სასიხარულოა იმის შეგნება, რომ დიდ მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა ჩვენს დედაქალაქებში".

◆

იმავე დღეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში გაიხსნა საარელ მხატვართა და გრაფიკოსთა გამოფენა.

●●

## პროფტექნიკური სასწავლებლის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები

**მეათე** ხუთწლედი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მატიანის ნათელი ფურცელი, მათი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ფორმირების პერიოდი გახდა. ეს იყო სისტემის ჩამოყალიბების, მისი ავტორიტეტის, პრესტიჟის დამკვიდრების წლები. ხუთწლედის მანძილზე საქართველოს პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა მოამზადეს 135 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა. რესპუბლიკის პროფტექნიკური სასწავლებლები ქვეყანაში პირველნი მთლიანად გადავიდნენ საშუალო განათლების მქონე მუშათა მომზადებაზე.

მეათე ხუთწლედში პროფესიულ-ტექნიკური სისტემის მუშაობის შედეგები, მიმდინარე წლისა და მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განიხილა თბილისში გამრთულმა პროფტექნიკური სასწავლებლების მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრებამ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. რიგვავამ.

აქტივის კრების მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ კვალიფიციურ მუშათა მომზადების შემდგომი სრულყოფისათვის ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის მიერ დასახულ დიდ და პასუხსაგებ ამოცანათა განხორციელება მოითხოვს პროფესიულტექნიკური განათლების სისტემის ყველა რგოლის შემდგომ გაუმჯობესებას, მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის დონის ამაღლებას.

საქართველოს პროფესიულტექნიკური განათლების სისტემაში გადასაჭრელია სერიოზული პრობლემები სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის, რომელთა რიცხვი ხუთწლედის მანძილზე 171-ს მიაღწევს. შეიქმნება ახალი საწარმოო სახელოსნოები, კაბინეტ-ლაბორატორიები, პოლიგონები. რესპუბლიკის პროფტექნიკური სასწავლებლები მოამზადებენ 20-ზე მეტი სპეციალობის მუშებს.

აქტივის კრების მონაწილეებმა დაამტკიცეს საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემის 1981 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. (საქინფორმი).

●●

## ვაჭრობის სრულყოფის კურსით

**რესპუბლიკის** ვაჭრობის სამინისტროს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა, მისთვის მზადება კი ჯერ კიდევ იანვარში, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დამთავრებისთანავე დაიწყო. სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულმა სხდომამ შეაჯამა კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც პარტიულ ფორუმზე გამოითქვა სავაჭრო ორგანიზაციათა მიმართ. ამ შენიშვნებს, ისევე როგორც ყრილობის სხვა მასალებს, პრაქტიკულად სისტემის ყველა მუშაკი გაეცნო. ადგილებიდან შემოსული წინადადებების საფუძველზე შეადგინეს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ორგანიზატორული მუშაობის დაწვრილებითი გეგმა.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელზეც მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა გ. ქობლიანიძემ, შეაჯამა სისტემის მუშაობის მეათე ხუთწლედის შედეგები. აღინიშნა, რომ საქონელბრუნვის გეგმა რეალიზებულია 101,1 პროცენტით, დავალების გადამეტებით მოსახლეობას მიეყიდა თითქმის ორასი მილიონი მანეთის საქონელი, მოწესრიგდა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემა.

მაგრამ, როგორც ხაზგასმით აღნიშნეს აქტივის კრების მონაწილეებმა, ვაჭრობის სფეროში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრება აქტუალურ ამოცანად რჩება მეთერთმეტე ხუთწლედშიც.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ გამოთქვა რწმენა, რომ თითოეული მუშაკი კეთილსინდისიერი შრომით უზრუნველყოფს მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, ღირსეულ წვლილს შეიტანს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებას, როგორც ამას მოითხოვს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები.

(საქინფორმი)

**საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ**

4 აპრილი

## წვრთნიან „გუსანოსებს"

**ნიუ-იორკი.** შეერთებული შტატები კუბის კონტრრევოლუციურ ნაძირალებს ამზადებს კუბის წინააღმდეგ შეიარაღებული პროვოკაციებისათვის. მაიამში (ფლორიდის შტატი) ამერიკელი ინსტრუქტორები ასწავლიან კონტრრევოლუციონერებს დივერსიებს, ტერორისტულ აქციებს, მკვლელობის გაწაფულ მეთოდებს.

მათ წვრთნიან აშკარად და რეპორტიორებსა და ტელევიზიის ოპერატორებსაც კი იწვევენ ბანაკებში. მაგალითად, ნიუ-იორკში გამოქვეყნდა ფოტორეპორტაჟები იმის შესახებ, თუ როგორ წვრთნიან „გუსანოსებს", როგორც ზიზღით უწოდებენ კუბაში სამშობლოს ამ მოღალატეებს.

ერთ-ერთ სურათზე აღბეჭდილია პირისისხლიანი ტერორისტული ორგანიზაციის „ალფა-66"-ის შტაბ-ბინა. კუბის დეტალურ რუკაზე ალმებით არის აღნიშნული ბანდიტების მიერ ჩადენილი დივერსიების — მკვლელობის, შაქრის ლერწმის პლანტაციებისათვის ცეცხლის წაკიდებისა და სხვა ბოროტმოქმედების ადგილები. ბანდიტებმა დაუფარავად განუცხადეს ჟურნალისტებს, რომ „მათ შთააგონებთ ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაციის პოლიტიკა კუბის მიმართ".

აღსანიშნავია, რომ „გუსანოსები" და მათი ვაშინგტონელი მფარველები აქტიურებენ თავიანთ მუხანათურ მოქმედებას პლაია-ხირონში შეიარაღებული ინტერვენციის განადგურების მე-20 წლისთავის წინ. როგორც ჩანს, მათ ჭკუა ვერ ასწავლა გაკვეთილმა, რომელიც კუბელმა ხალხმა მისცა აგრესორებს ორი ათწლეულის წინათ.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

## „ორი ყრილობა—ერთი მიზანი"

### დამთავრდა ბულგარეთის კომპარტიის XII ყრილობა

**სოფიაში** მუშაობა დაამთავრა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობამ. მისი შედეგები მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. ყრილობამ დაადასტურა მრეწველობის წამყვანი როლი სახალხო მეურნეობის კომპლექსის განვითარებაში, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის როლი, რომლის პროდუქციის წარმოების გაზრდაც მომავალ ხუთწლედში დასახულია 50-55 პროცენტით. სოფლის მეურნეობაში მთავარ ამოცანად დასახულია მარცვლეულის პრობლემის გენერალური გადაწყვეტა და ამის საფუძველზე მეცხოველეობის დაჩქარებული ეფექტიანი განვითარება. როგორც ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. ჟივკოვმა ხაზგასმით აღნიშნა საანგარიშო მოხსენებაში, ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას ყოველთვის მიაჩნდა, რომ სოციალისტური ეკონომიკის განვითარება თვითმიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილება, მრავალმხრივ და ჰარმონიულად განვითარდეს პიროვნება.

ყრილობამ, რომელმაც განიხილა ბულგარეთის სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანები, აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლის იდეები და დასკვნები აღაფრთოვანებს ბულგარელ კომუნისტებს ახალი მიღწევებისათვის. ბულგარეთის კომპარტიის უმაღლესი ფორუმის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა დევიზით „ორი ყრილობა —ერთი მიზანი", კერძოდ, მშვიდობის უზრუნველყოფა და კომუნიზმის აშენება.

ბულგარელმა კომუნისტებმა, თავისი ხალხის ნებას რომ გამოხატავენ, საზეიმოდ განაცხადეს, რომ ისინი, ბულგარეთის ყველა მშრომელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობის პროგრამას, რომელიც განვითარდა XXVI ყრილობაზე, თავის პროგრამად აღიქვამენ. ბულგარეთის კომპარტიის მთელი მოღვაწეობის ქვაკუთხედი იყო და არის ძმური ურთიერთობის ყოველმხრივი განმტკიცება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა ხალხთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ გზაზე მნიშვნელოვანი ნიშანსვეტები იყო ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში 1977 წელს და ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ბულგარეთში 1979 წლის დამდეგს. მათი შედეგები მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომპარტიის, სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი ურთიერთმოქმედების პოლიტიკური კომპასია ჩვენი პარტიებისა და სახელმწიფოების ხელმძღვანელების — ლ. ი. ბრეჟნევისა და ტ. ჟივკოვის მუდმივი კონტაქტები, შეხვედრები და საუბრები.

ბულგარეთის კომპარტიის XII ყრილობის გადაწყვეტილებებმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ბულგარელი კომუნისტები თავიანთი რევოლუციური ტრადიციების, მარქსიზმ-ლენინიზმის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულნი არიან. ახალი ცხოვრების მშენებლობაში ბულგარელი ხალხის შთამბეჭდავი წარმატებები სოციალიზმის უსაზღვრო შესაძლებლობათა ნათელი მაგალითია. ბულგარეთის კომუნისტური პარტია მტკიცედ ადგას სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებისა და ერთიანობის განმტკიცების, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარების კურსს. ბულგარელი კომუნისტების მიღწევებისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის კოლექტიური პრაქტიკის შედეგების მწვერვალებიდან ნათლად ჩანს, რომ სოციალიზმი მსოფლიო განვითარების მაგისტრალური ხაზია.

ტაილანდი

## სამხედრო გადატრიალების ცდა ჩაიფუშა

**ნიუ-იორკი.** ტაილანდში სამხედრო გადატრიალების ცდა, რაც 1 აპრილს მოხდა, ჩაიფუშა. ჯარებმა პრემიერ-მინისტრის პრემ ტინსულანონის სარდლობით დაიკავეს ბანგკოკი და ქალაქის აეროპორტი. აღდგენილია მთავრობის კონტროლი რადიო-სატელევიზიო სადგურებისადმი, მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებებისადმი, მიმდინარეობს დედაქალაქის გარნიზონის ჯარისკაცთა მასობრივი გადასვლა კანონიერი მთავრობის მხარეზე. დაპატიმრებულია წარუმატებელი პუტჩის მთელი რიგი ლიდერები. მისმა ორგანიზატორმა გენერალმა სანტა ჩიტპატიმამ კი შეძლო მიმალულიყო.

ფოტოობიექტივი ამხილებს




**აშშ.** „შეწყდეს რასისტული ტერორი!", „მოვითხოვთ ჩვენი შვილების მკვლელთა დასჯას!" — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა ატლანტაში (ჯორჯიის შტატი) ზანგი საზოგადოებრიობის მასობრივი მანიფესტაცია. მათ ქალაქის ქუჩებში გაიარეს, რათა პროტესტი გამოეთქვათ რასიზმის წინააღმდეგ და ამერიკის ზანგი მოსახლეობისადმი ძალადობის გამო.

**სურათზე:** დემონსტრაციის დროს.

**იუპი-საქდესის ფოტო.**

ვითარება პოლონეთში

## მიმდინარეობს პარტიული აქტივები

**ვარშავა.** პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარეობს პარტიული აქტივები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობა.

ვარშავის რადიოქარხანა „რავარში" გამოვიდა ს. კანია. მან აღნიშნა, იუწყება პოლონეთის პრესის სააგენტო, რომ პოლონეთში ჯერ კიდევ რთული სიტუაციაა. კრიზისი გრძელდება. სწორი არ იქნებოდა, თქვა ს. კანიამ, ახლანდელი სიძნელეები დავუკავშიროთ მხოლოდ ძველ შეცდომებს. ისინი მნიშვნელოვანწილად შედეგია სახალხო მეურნეობის მოშლისა, რაც მოხდა გაფიცვებისა და ქაოსის გამომწვევი სხვა მოქმედების შედეგად.

პროფგაერთიანება „სოლიდარობასთან" ურთიერთმოქმედებას რომ შეეხო, ს. კანიამ განაცხადა, რომ ასეთი ურთიერთმოქმედების განვითარებას მხარს უჭერენ მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ძალები, მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი. „სოლიდარობის" ორგანიზატორებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ამ პროფკავშირს სოციალისტური ხასიათი აქვს და ეს პარტიისა და „სოლიდარობის" ყოველ წევრს გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს. მიუტევებელი შეცდომა იქნება, ხაზი გაუსვა ს. კანიამ, არ შევნიშნოთ „სოლიდარობის" ის ძალებიც, რომლებიც ცდილობენ ეს პროფგაერთიანება დააყენონ პოლიტიკური მოქმედების გზაზე და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მაგივრობაც კი გასწიონ ქვეყნის ძირითად პრობლემათა გადაწყვეტაში.

ქეშუვის სავოევოდოს პარტიულ-სამეურნეო აქტივზე გამოსვლისას კ. ბარჩიკოვსკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმი მიმდინარეობდა უაღრესად რთულ და დაძაბულ ატმოსფეროში. მაგრამ მაინც მიღებულია გადაწყვეტილებანი, რომლებსაც გრძელვადიანი შედეგები მოჰყვება პარტიის კონსოლიდაციისათვის, ახალ პირობებში მისი ქმედუნარიანობის აღდგენისათვის.

„მისლოვიცეს" შახტის მაღაროელთა წინაშე გამოვიდა ს. ოლშოვსკი. მან კერძოდ განაცხადა: პლენუმზე იყო ცდები გაეთიშათ ხელმძღვანელობა და განხეთქილება შეეტანათ ხელმძღვანელობასა და პარტორგანიზაციებს შორის. მაგრამ ჩვენ გამოვიტანეთ ერთიანი გადაწყვეტილება. მტკიცედ მინდა ხაზი გავუსვა, რომ განხეთქილება არ ყოფილა.

შემდეგ ს. ოლშოვსკიმ განაცხადა, რომ ახლა განსაკუთრებით საშიშია დიდი გაფიცვების საფრთხე, რომელიც ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს, მის სტრუქტურასა და ხალხის ცხოვრებას.

„ვეჩორეკის" შახტში გამოსვლისას ა. ჟაბინსკიმ თქვა: მიუხედავად ახლანდელი სიმშვიდისა, პარტიაში მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდა, არამედ გამწვავდა კიდეც. ახლა ქვეყანაში გაჩაღებულია ნამდვილი ბრძოლა ძალაუფლებისათვის, რომელიც სახელმწიფოში მეტად რთულ, კრიზისულ ეკონომიკურ ვითარებაში მიმდინარეობს.

ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა ა. ჟაბინსკიმ, გვჭირდება ძლიერი ხელისუფლება, გენერალ ვ. იარუზელსკის მთავრობისათვის გარკვეული დროით დიდი პრეროგატივების გადაცემა. ძლიერი მთავრობა, რომელსაც მხარს დაუჭერს მთელი ხალხი, და ძლიერი პროფკავშირები ერთობლივი მოქმედებით შეძლებენ გამოიყვანონ ქვეყანა ღრმა კრიზისიდან, თქვა ა. ჟაბინსკიმ.

დედაქალაქში გაიმართა „სოლიდარობის" წარმომადგენლის პრესკონფერენცია, სადაც განაცხადეს, რომ ამ პროფგაერთიანების აქტივში შინაგანი უთანხმოებანი წარმოიშვა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ დღის წესრიგში დადგა „სოლიდარობის" ეგრეთ წოდებული „ექსპერტების" საკითხი. როგორც ცნობილია, ეს ექსპერტები ძირითადად „კოს-კორ"-ის ორგანიზაციის მოღვაწენი არიან.

პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ „სოლიდარობის" სრულიად პოლონეთის შემთანხმებელი კომისიის უკანასკნელი სხდომის დროს გდანსკში „სოლიდარობის" კომისიებისა და საქარხანათშორისო საორგანიზაციო კომიტეტების მთელმა რიგმა წევრებმა გამოიტანეს დასკვნა,— „ექსპერტები" ბ. გერემეკი, ტ. მაზოვეცკი ზემოქმედებას ახდენენ კომისიის წევრებზე, და რომ „ექსპერტთა" აზრი ბევრ მოლაპარაკებზე ჯაბნის პროფგაერთიანების აზრს. აღინიშნა, რომ „სოლიდარობის" ხელმძღვანელობის ზოგიერთი წევრი გადააყენეს.

**ვაშინგტონი.** აქ ვიზიტად ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. იაგელსკი, რომელიც მოლაპარაკებას გამართავს ეკონომიკურ საკითხებზე.

## რ. რეიგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა

**ვაშინგტონი.** როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის ჯანმრთელობა რამდენადმე გაუარესდა, სიცხე აეწია და ფილტვებში ანთებითი პროცესის საფრთხე შეექმნა. თუმცა ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკის ექიმების აზრით, სადაც პრეზიდენტი წევს, ეს „ჩვეულებრივი მოვლენაა ამგვარი ოპერაციის შემდეგ". ამჟამად ექიმები იკვლევენ სიცხის აწევის მიზეზს.

როგორც განაცხადა პრესკონფერენციაზე ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, შესაძლოა ტყვიას პრეზიდენტის სხეულში ტოქსიკური ნივთიერება შეჰყვა.

## სად რა მოხდა

●●

### შეძლებული... ქურდბაცაცა

**ლონდონი.** დედაქალაქის ერთ-ერთ უნივერსალურ მაღაზიაში „მარქს ენდ სპენსერში" დააკავეს ვინმე არლინ ჯეკობსი, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, რომელიც ლონდონში ტურისტად იყო ჩამოსული. შეძლებულმა ამერიკელმა ქალმა... დახლიდან მოიპარა 60 გირვანქა სტერლინგად ღირებული ორი ჯემპრი. ქურდობის გარემოებათა გასარკვევად დაკავებულ ჯეკობსს მაღაზიასთან ელოდებოდა მეუღლე „როლს-როისის" მარკის, ბარითა და ფერადი ტელევიზორით მოწყობილ საუცხოო ავტომანქანაში.

ამერიკელი ქალი, რომელმაც გადაწყვიტა საზღვარგარეთ თავისი გარდერობი ოჯახის ბიუჯეტის დაზოგვის ხარჯზე შეევსო, ამჟამად მხოლოდ დააჯარიმეს.

### განძი იპოვეს 200 წლის შემდეგ

**კოლომბო.** 5 მილიარდი რუპიის ოქროსზოდებიანი ზანდუკი იპოვეს კოლომბოში სარემონტო სამუშაოების დროს. ვარაუდობენ, რომ ეს განძი ყოფილ ჰოლანდიელ კოლონიურ ხელისუფალთა ხაზინის ნაწილი უნდა იყოს.

1794-1796 წლებში ცეილონის უკანასკნელმა ჰოლანდიელმა გუბერნატორმა ვან ანგელბიკმა განძი ახალ დამპყრობთა — ინგლისელთა შემოსევისაგან რომ გადაერჩინა, ოქროს მარაგი სანავსადგურო ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე გადამალა, სადაც ზანდუკმა თითქმის 200 წელი დაჰყო და ზოდებს მაინც სწორედ ინგლისელებმა მიაგნეს. საქმე ის არის, რომ ციხე-სიმაგრეში სარემონტო სამუშაოებს ინგლისის სამშენებლო ფირმის დახმარებით ახორციელებენ.

### კიდევ ერთი მსხვერპლი

**ნიუ-იორკი.** მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „კოლუმბიის" გაშვებისათვის მზადებამ კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქალაქ ჯეინსვილის (ფლორიდის შტატი) საავადმყოფოში გარდაიცვალა ფორეს კოული. ექიმები მისი გადარჩენისათვის 19 მარტიდან იბრძოდნენ. როცა ხომალდის გამოცდის დროს ტრაგიკული ინციდენტი მოხდა, მუშებმა, რომელთა შორის იყვნენ ფორეს კოული და მისი ამხანაგი ჯონ ბიორნსტადი, განკარგულება მიიღეს და ძრავის გამოცდისთანავე ხომალდის ერთ-ერთ ნაკვეთურში შევიდნენ. „სიჩქარეში" ისინი არავის გაუფრთხილებია, რომ მანამდე ნაკვეთურიდან ჟანგბადი ამოუტუმბავთ და იგი აზოტით იყო ავსებული. ბიორნსტადი მაშინვე დაიღუპა.

პენტაგონი, რომელიც გაძლიერებით ამუშავებს კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის გეგმებს, აჩქარებს „კოლუმბიის" გასაფრენად მომზადებას.

# ნუ დავკარგავთ კარგ ტრადიციას

[illegible]

[მი]მდევარი ოჯახები შემცირებულან, ზოგიერთს მამაპაპური გამოცდილება სამარცხვინოდ მიუჩნევია და ხელობის ცოდნას არც ამჟღავნებს. ამის მიზეზი მრავალგვარია. ჩემი აზრით, მთავარი მაინც ის არის, რომ ძალზე შრომატევადი გარჯა ახალგაზრდობას აღარ იზიდავს... მავანს და მავანს საჩოთირო სიამაყე დაეუფლა, ნახელავით თავმოწონების ნაცვლად ნაარმეჯით ტრაბახი დასჩემდა, ყველამ როდი იცის მუშაკაცის ალალად დაღვრილი ოფლის ფასი...

ჩემს ბავშვობაში კოჭლი მოხუცი მეკალათე ჩამოივლიდა, ზურგზე ნაირ-ნაირი კალათები ეკიდა, სოფლის წყაროსთან ჩამოჯდებოდა და თავის ნამზადს ჭირნახულზე ცვლიდა. ფუტკრებივით ეხვეოდნენ ქალები, კოხტად წნული შარაგული ოჯახს ნამდვილად ამშვენებდა. ახლა შარაგული რაჭის ყოფიდან თითქმის გამქრალია, მისი ადგილი თუნუქის ქარხნულმა სათლებმა დაიჭირა, გოდრისა და კალათის მწვნელი თითზე ჩამოსათვლელია.

თიხის ჭურჭელიც საძებარი გახდა. რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე მდებარე სოფელ საირმის განთქმული მეთუნეების კერა ჩვენ თვალწინ გაქრა. მხცოვან მეჭურჭლეთა ენთუზიაზმმა, სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციებმა და ჟურნალ-გაზეთების, რადიო-ტელევიზიის გამოსარჩლებამ საქმეს ვერ უშველა. ვერა და ვერ იქნა, ცაგე-[illegible] წარმომადგენელი სერგო მაჩაიძე შრომობდა. ქარხანა მთელ ონის რაიონს ამარაგებდა იაფი და საუკეთესო დოქებით, სურებით, ჩაფებით, ხალამდერგებით, ქვევრებით, სადღვებლებით, ქილებით, ქოთან-კოჭობებით და ა. შ. სერგო მაჩაიძე გარდაიცვალა, მისი მოწაფეები გაიფანტნენ და ხუთი წელია რაც ქარხანა დაიკეტა. ეს მაშინ მოხდა, როცა მთიანეთში სადირექტივო ორგანოები მსგავსი საწარმოების შექმნას ითვალისწინებს, ხოლო დამკვიდრებულის მოსპობა მარტო გულგრილობით ვეღარ აიხსნება...

დღეს ამაოდ ეძებს ხალხი თიხის ჭურჭელს, შარაგულს, ტრადიციის შენარჩუნებას რომ თავი დავანებოთ, ყოველდღიურობის მწვავე მოთხოვნილებას ხომ როგორმე უნდა ვუპასუხოთ.

გვინდა თუ არ გვინდა, ტურიზმის თანამედროვე ინდუსტრია რაჭაშიც შემოიჭრა. კურორტები შოვი, უწერა, ბუნებისა და ისტორიული ძეგლები: შაორი, შქმერი, კუდარო, ღები, ჭიორა, გლოლა, ნიკორწმინდა, სხავა, ზემო კრიხი, პატარაონი, ბუგეული, ლაბეჭინა, კლდისუბანი, ხიდიკარი, ზნაკვა-ქედისუბანი, ყოშხა, დექციხე და მალის ციხე, ბარაკონი და მინდაციხე, კვარაციხე, მრავალძალი და სხვა, დიდძალ ცნობისმოყვარეს იზიდავს. ყოველივე ამის ხილვით რომ დატკბებიან, სუვენირებს, საჩუქრებსა და სამახსოვროებს ეძე-[illegible] მოგონებათა [illegible], ეძებენ და [illegible] რაჭაში მათ [illegible]ვის უფიქრია, [illegible]ობს, ოცნებას [illegible] არ შესხმია.

მართალია, აქა-იქ კუსტარულად ნამზადი ნაბდის ქუდები გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ საკმაოდ უხარისხოა და ტრადიციული ფორმები ხელალებით არის დარღვეული, თან მყვირალა ფერებითაა შეღებილი.

სრულიად გამოუყენებელია დღემდე მოღწეული შესაძლებლობანი: ძვირფასი ხე-ტყე, სამშენებლო და მხატვრულად დასამუშავებელი საუკეთესო ქვის კარიერები, ნაირგვარი, მაღალხარისხოვანი თიხები და სხვა მისთანები. აქა-იქ შემორჩენილ ხნიერ ოსტატებს სიცოცხლესავით სწყურიათ თავიანთი ცოდნა-გამოცდილება მომავალ თაობებს გაუზიარონ, მაგრამ ამ საქმით დაინტერესებული მხარდამჭერი ჯერჯერობით არავინ ჩანს. ეს მით უფრო დასანანია, რომ, გულმხურვალედ, სახელმწიფო დონეზე თუ მივუდგებით საკითხს (ეს ხომ ახალი საბჭოთა კონსტიტუციით გვევალება), ახალგაზრდებს უთუოდ მივიზიდავთ. მათ შორის ცოტა როდია ბუნებით ნიჭიერი, რომელიც ძალაუნებურად, თანდაყოლილი ალღოთი ნივთებისაგან პოეზიას ქმნის, თუკი ასპარეზს მივცემთ. ისინი თავსაც შეინახავენ და დაფასებაც ექნებათ, ისევ დაადგებიან წინაპართაგან გაკვალულ მეტად საშურ გზას.

ძალზე დამაფიქრებელია რაჭა-ლეჩხუმში ხალხური მევენახეობა-მეღვინეობის ბედი. ხვანჭკარა, უსახელოური, ორბელური, ტვიშური — ეს ღვინოები ხომ თავის დროზე ხალხმა შექმნა და ხანგრძლივი ძნელბედობის ჟამს რუდუნებით ატარა. ჩვენმა ვაზმა და მარანმა ყოველგვარ ჭირს, ყოველი ჯურის დამპყრობელსა და მოძალადეს გაუძლო, დღემდე შეუბღალავად, ღირსეულად მოვიდა და ახლა უმაგალითო მშვიდობისა და კეთილდღეობის ჟამს, ნუთუ გვეპატიევება მათი დაკარგვა?! რაჭა-ლეჩხუმში მამაპაპური ხორგოსაწნახლები თითქმის უქმად დარჩენილა, ბევრი ნადგურდება, ისპობა. ჭურში ღვინის დაძველებაც გადავარდნილა, ძეობაზე შენახული ღვინით ახლა ვილა გადაიხდის ოჯახის პირმშოს ქორწილს?! სამაგიეროდ ღვინის უზომო სმის ტრადიცია დარჩა და ფალსიფიცირებული, გაყალბებული სასმელი დამღუპველად მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობაზე. აღარას ვამბობთ მორალურ გამოუსწორებელ ზარალზე — ღვინის გამფუჭებელს ხომ სულაც უმახინჯდება.

გამოჩენილი მეცნიერები და სპეციალისტები რაჭა-ლეჩხუმს ხარისხოვანი მეღვინეობის ერთ-ერთ უნიკალურ რეგიონად თვლიან. ბოლო ხანს იქაური სახელგანთქმული ვაზის ჯიშების გადასარჩენად ბევრი რამ კეთდება. ცაგერის რაიონში შეიქმნა უსახელოურის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭყვიშში ჩამოყალიბდა სახელმწიფო სანერგე მეურნეობა, რომელმაც ხვანჭკარის მომცემი ვაზის ჯიშების (ალექსანდროული, მუჯურეთული) ნერგები უნდა აწარმოოს, ასეთივე ზრუნვა და ყურადღება სჭირდება ხალხურ მეღვინეობასაც. ქართული მარანი მხოლოდ მუზეუმებში კი არა, ცხოვრებაშიც უნდა შევინარჩუნოთ. ეს აუცილებელია ჩვენთვის, ჩვენი შთამომავლობისათვის და აგრეთვე კარზე მომდგარი ტურიზმის ინდუსტრიისთვისაც, ამას გვავალებს მომავალ თაობათა წინაშე პასუხისმგებლობა.

ამასწინათ „სამტრესტმა“ საუკეთესო ქვევრების დამზადებისათვის კონკურსი გამოაცხადა. მთელ საქართველოში ეძებენ მექვევრე ოსტატებს, რაც შეიძლება მეტი ქვევრის დასამზადებლად. ეს უძველესი ჭურჭელი ქართული ღვინის დასაყენებლად შეუცვლელია, მეღვინეობის თანამედროვე ტექნიკამ მრავალსაუკუნოვან მამაპაპურ ცოდნა-გამოცდილებას ქედი მოუხარა, ერთხელ კიდევ დავწრმუნდით, რომ ყოველივე „ძველი“ ხელალებით დასაგმობი არ არის. ქართულ ხალხურ ჭურ-მარანში წინაპართა დახვეწილი წესით ღვინის დაყენება ისეთი ხელოვნებაა, რომელსაც ყავლი არასდროს არ გაუვა.

ამიტომ, სანამ გვყავს, გავუფრთხილდეთ შთამომავლობით მეღვინეებს, მივცეთ საშუალება ღვინის დაყენებისა, მოვაწყოთ მათი ნაამაგარი სასმელის რაიონული და რესპუბლიკური დაჭაშნიკება-დეგუსტაციები, ადვილი წარმოსადგენია, ეს პროცესი რა სილამაზეს და სიხალისეს შემატებს ახლად აღდგენილ სახალხო დღესასწაულებს. ყველა მონაწილეს შრომა სათანადოდ უნდა ავუნაზღაუროთ, ხოლო გამარჯვებულებს ჯილდო და წახალისება არ უნდა მოვაკლოთ, ასეთი საგანგებო ღონისძიებებით ძველქართულ წესზე დაყენებულ ღვინოს ყოფაში ისევ დავამკვიდრებთ. ბუნებრივია, ეს ხელს არ შეუშლის ღვინის სახელმწიფო დონეზე წარმოებას, პირიქით ჯანსაღი შეჯიბრება აამაღლებს მომთხოვნელობას და პროდუქციის ხარისხს.

ნუ დავკარგავთ კარგ ტრადიციას!

**ლ. ფრუიძე.**

---

**კომუნისტი** საქვეყნო საკითხავი

# ნიაღვრების ქალაქში

## სამხედრო გადატრიალების შემდეგ

**დიდი** ხანია გაფრინდნენ მერცხლები.

ჩამოყვითლდნენ ჭადრები ათათურქის ბულვარზე.

გრილმა ნიავმა დაბერა ელმადაღის მთებიდან, თავზე რომ ადგას ანკარას. თვალსაწიერზე ლანდად მოჩანს ახალმოსული თოვლით გადაპენტილი ქოროღლის მწვერვალი.

ცას თალხისფერი ღრუბლები შემოეჩვია.

შემოდგომაა ანკარაში...

ერთი შეხედვით არაფერი შეცვლილა. ათათურქის ბულვარზე ძველებურად სეირნობს თითქოსდა უდარდელი ხალხი, ისევ ისე ლაღად საუბრობენ ანკარელები, ისევ ისე მღერის მალთეფეს კაბარეებში აიდა ფექანი...

1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ მთელ თურქეთში სამხედრო წესებია გამოცხადებული. ღამის 12 საათიდან დილის 5 საათამდე ქუჩებში გამოსვლა აკრძალულია. წყდება ტრანსპორტის მოძრაობა და ქალაქში უჩვეულო სიჩუმე მეფდება.

საათის ისარი თორმეტს უახლოვდება. აღმა მივყვები ათათურქის ბულვარს. გვერდით სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი მცველი მომყვება. ანკარის სამხედრო ადმინისტრაციამ დიდი მობოდიშებით გამომიცხადა: შფოთიანი დროა, გვეშინია ხიფათს არ გადაეყაროთ, დაცვა აუცილებელიაო. შიში გასაგებია, უკანასკნელ ხანებში მართლაც მოხდა უცხოელებზე თავდასხმის რამდენიმე შემთხვევა. ასე დავდივარ ყოველდღე ორ მცველს შუა ჩამდგარი. ერთი მათგანი ართვინელია, მეორე — ანამურელი, ხმელთაშუაზღვისპირელი. მიყვებიან თავიანთ კუთხეების ძველსა და ახალ ამბებს. მიამბობენ თუ როგორი ფხალი იციან ართვინის მხარეს ან როგორ აცხობენ კეცებზე ჭადებს, როგორ ცეკვავენ ართვინში ხორუმს და მერსინაში მერსინულ ფერხულს, როგორ აჩნია თამარ მეფის ნატერფალი შავშეთის მთებს და როგორ შეკრეს უხსოვარ დროს ჯვაროსნებმა ანამურის გზა.

შინ მისვლისთანავე ტელევიზორი ჩავრთე. უკანასკნელი ცნობების გადაცემა იწყებოდა, როგორც ყოველთვის, დიქტორმა გადაცემა დაიწყო ვილაიეთების სამხედრო სარდლობის ცნობებით ტერორისტული და ანარქისტული ჯგუფების აღმოჩენისა და მათი წევრების დაპატიმრების შესახებ. დღის შედეგი ასეთი იყო: ადანაში დაპატიმრებულია 21 ტერორისტი, რომელთაც ბრალად ედებათ 12 კაცის მოკვლა, ყარსში — 3, ბალიქესირში — 53 და სხვ.

ასე ხდებოდა ყოველდღე, ხან ცოტა მეტი, ხან ცოტა ნაკლები. განსაკუთრებით გამწვავებული მდგომარეობა ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში, შავშეთში კი ნამდვილი ომია. არმიასა და პოლიციას ამ ოპერაციების დროს ხელში ჩაუვარდათ იარაღი, რომლითაც ალბათ საშუალო სიდიდის სახელმწიფოს არმია შეიარაღდებოდა. მიღებული ზომების შედეგად ტერორისტული აქტების რიცხვმა მკვეთრად იკლო. მაგრამ ვერ მოისპო. ტერორისტულ აქტებს, თებერვალში რამდენიმე თანამდებობის პირიც შეეწირა.

კარგად არ მახსოვს რომელი გაზეთი იყო „თერჯუმანი“ თუ „მილიეთი“. მახსოვს მხოლოდ, რომ ეს იყო 1979 წლის სექტემბრის ცხელი დღე ეგეოსის ზღვის სანაპიროზე. იმ დღეებში თურქეთში აზვირთდა ტერორის ტალღა და ყველა ერთმანეთს შეშფოთებით ეკითხებოდა: რა მოხდება ხვალ?. რა გველის ზეგ? და სწორედ მაშინ პრესაში გამოქვეყნდა თურქეთის გენერალური შტაბის უფროსის ქენან ევრენის პორტრეტი წარწერით: „გენერალი ქენან ევრენი აიღებს ხელში ძალაუფლებას“, ანუ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ევრენი სამხედრო გადატრიალებას მოახდენსო. ამავე დროს ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა სტატიები, რომელთა ავტორები აშკარად წერდნენ, როგორც სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერის ბულენთ ეჯევითის, ასევე სამართლიანობის პარტიის ლიდერის სულეიმან დემირელის სურვილიც სწორედ ეს არის, ვინაიდან ორივემ კარგად იცის, რომ შექმნილი კრიზისიდან ისინი ქვეყანას ვერ გამოიყვანენო. ყოველივე ეს მაშინ უცნაურად არავის მოსჩვენებია. საქმის ასეთი დასასრულის შესაძლებლობის შესახებ ხალხში კარგა ხანია რაც ხმები დადიოდა. თურქეთი, მართალია სამხრეთამერიკული ქვეყანა არ არის, მაგრამ სამხედრო გადატრიალებები აქ ჩვეულებრივ ამბად იქცა: გავიხსენოთ, 1960 წლის 27 მაისი, 1971 წლის 12 მარტი. და არა მარტო ჩვენს ეპოქაში, სამხედრო გადატრიალებები ჩვეულებრივი ამბავი იყო ოსმალეთის იმპერიაშიც, როდესაც იანიჩრები ტახტიდან აგდებდნენ და ტახტზე სვამდნენ სულთანებს, ისე როგორც მოეხასიათებოდათ. ახლაც ასეთი გადატრიალება განსაკუთრებით მოსალოდნელი ჩანდა, როცა ქვეყანა ტერორმა და ანარქიამ მოიცვა, ეკონომიკაში ბზარები ნაპრალებად იქცა და ხალხმა პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერებისადმი ნდობა დაკარგა. ხალხი თანდათანობით ურიგდებოდა ახალი სამხედრო გადატრიალების აზრს, მოელოდა და ეს მოხდა კიდევაც იმ ცხელი სექტემბრის დღის პირველ წლისთავზე და სრულიად უბრალოდ: შარშან 12 სექტემბერს განთიადისას ტანკები ანკარაში შევიდნენ და სახელმწიფო დაწესებულებების წინ დადგნენ. დილით, როდესაც ანკარელებს გამოეღვიძათ, აღმოჩნდა, რომ აღარც სულეიმან დემირელის მთავრობა იყო, არც პარლამენტი და არც კონსტიტუცია. თურქეთის გენერალური შტაბის უფროსმა ქენან ევრენმა თავისი თავი სახელმწიფოს მეთაურად გამოაცხადა.

ამ დღეს თურქეთის საზღვრებიდან შორს ვიყავი. მოხდა ისე, რომ იმ დილით ანკარის რადიოს მოსმენის შემდეგ ერთი მაღალი რანგის თურქ დიპლომატს გადატრიალების ამბავი მე შევატყობინე. მისი პასუხი მოკლე და გასაგები იყო:

— უკვე!?

არც გაკვირვებია, არც გახარებია, არც წყენია. ისე მიიღო ეს ცნობა როგორც ჩვეულებრივი, მოსალოდნელი ამბავი.

ვინ არის დამნაშავე თურქეთში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობაში? რატომ მივიდა თურქეთი იმ მდგომარეობამდე, რომ იღვრებოდა სრულიად უდანაშაულო ადამიანთა სისხლი?

საქმე ის გახლდათ, რომ თურქეთში არსებობდა ორი მთავარი პოლიტიკური პარტია — სახალხო-რესპუბლიკური და სამართლიანობისა. პირველი დაარსებულია ქემალ ათათურქის მიერ. სამართლიანობის პარტია კი ფაქტობრივად სახალხო-რესპუბლიკური პარტიის განაყოფია. ეს ორი პარტია იყო სახელმწიფო ხელისუფლების რეალური პრეტენდენტი. ამ ორი პარტიის პოლიტიკურ კრედოს შორის არც ისე დიდი განსხვავებაა, როგორც ეს ბევრს ჰგონია. ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო პარლამენტში ადგილების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება. ამ პარტიების მიერ შედგენილი არც ერთი მთავრობა არ იყო მყარი. პარტიები ერთმანეთს ჯიბრში უდგებოდნენ და ერთმანეთის გადმოყირავებას ცდილობდნენ.

ამავე დროს პარლამენტის უკანასკნელ შემადგენლობაში იყვნენ კიდევ ორი მცირერიცხოვანი პარტიის — ეროვნული მოძრაობის და ეროვნული კეთილდღეობის — წარმომადგენლები, რამდენადაც არც სახალხო-რესპუბლიკურ და არც სამართლიანობის პარტიას პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა არ ჰქონდათ მთავრობის გადასაყენებლად, ანდა ხელისუფლების ხელში ასაღებად, საჭირო იყო ერთ-ერთი ამ მცირერიცხოვანი პარტიის დეპუტატთა ხმები. დაიწყო გაუთავებელი „ვაჭრობა“ მინისტრთა პოსტების გამო. ეს კი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებასთან ერთად არასტაბილურ ვითარებას ქმნიდა. ევრენმა, როცა თავისი მთავრობის პოლიტიკურ კურსზე ლაპარაკობდა, ქემალ ათათურქის ავტორიტეტი მოიშველია და განაცხადა: „ათათურქის გზით, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ“. თურქეთის პოლიტიკური ლიდერების არაპოპულარობის გამო თუმცა ეჯევითიც და დემირელიც აცხადებდნენ, რომ ისინი ათათურქის გზით მიდიან, ოღონდ ეჯევითის კურსი იყო „საშუალოზე მარცხნივ“, ხოლო დემირელისა — „მარჯვნივ“.

ეროვნული მოძრაობის პარტიის სათავეში იდგა პოლკოვნიკი ალპარსლან თურქეში. მისი პარტიის ემბლემა იყო რუხი მგელი — თურქული მოდგმის ტომების ძველი ტოტემი და იგი აღნიშნულ ტომთა გაერთიანების სიმბოლოდ აღიარეს. თურქეში თავის წიგნში „ახალი ჰორიზონტებისაკენ“ ამტკიცებდა შიდა და გარე თურქების არსებობას. მისი აზრით, თურქებს მიეკუთვნებიან თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებნი, ხოლო გარე თურქები არიან ყველა ისინი, ვინც თურქული ჯგუფის ენებზე ლაპარაკობს. რა გზით უნდა წავიდეს თურქეთი, რომ კვლავ გახდეს ძლიერი და დიდი, რომ დაიბრუნოს ის დიდება, რომელიც მას ოსმალეთის იმპერიის ბრწყინვალების დროს ჰქონდა? წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „უკვე თითქმის 160 წელი გავიდა, რაც განვითარების ევროპულ გზას დავადექით. რა მოდას არ მივსდიეთ ამ ხნის განმავლობაში: მუსტაფა რეშიდ ფაშას ინგლისური ლიბერალიზმი, მითჰად ფაშას ფრანგული პარლამენტარიზმი, მენდერესის ამერიკული პრაგმატიზმი. რა არ ვცადეთ მითჰად ფაშას რეფორმების დროიდან, ვიდრე სულთან აბდულ ჰამიდის დიქტატორულ მმართველობამდე, მაგრამ ჩვენი ტერიტორია მაინც დაპატარავდა. ჩვენმა საზღვრებმა მაინც უკან დაიწია: ყირიმიდან მდინარე მარიცამდე, ყირიმიდან მდინარე არეზამდე, იემენიდან გაზიანთებამდე, ბაღდადიდან ჰაქარიმდე, და რამდენადაც არც ერთ ცდას დაწყებული მითჰად ფაშით და დამთავრებული მენდერესით ნაყოფი არ გამოუღია, ამიტომ თურქეთი უნდა წავიდეს ახალი გზით, ნაციონალიზმის გზით, რათა აღიდგინოს დაკარგული დიდება“.

ამისათვის თურქეში არა მარტო ზეპირ და ბეჭდვითს პროპაგანდას ეწეოდა, არამედ ქმნიდა შეიარაღებულ რაზმებს, ამზადებდა მებრძოლებს სპეციალურ ბანაკებში, იბრძოდა ახალგაზრდობის გადმოსაბირებლად. რამდენიმე წლის წინათ თურქეთის ერთ-ერთ ქალაქში თურქეშის რაზმების ალლუმის მოწმე გავხდი. მოდიოდნენ მისი კომანდოსები ჰიტლერის მოიერიშეთა თარგით შეკერილ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ოღონდ ყავისფერი ხალათების ნაცვლად ხაკისფერი ეცვათ. მოდიოდნენ მწყობრი, მხედრული ნაბიჯით და ღრიალებდნენ: „გაუმარჯოს თურქეშს“. როგორც ამბობენ, თურქეშის მიმდევრები ავსებდნენ მემარჯვენე ექსტრემისტთა კადრებს. ალპარსლან თურქეში დააპატიმრეს გადატრიალების პირველსავე დღეებში. ასეთივე ბედი ეწია ეროვნული კეთილდღეობის — რელიგიურ ფანატიკოსთა პარტიის ლიდერს ნეჯმეთინ ერბაქანს,

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მოდერნიზმი მას არ აკლდა. როგორღაც „აღმოსავლეთის ექსპრესით“ მივდიოდი ყარსიდან ანკარაში. მატარებელში ერბაქანის მიმდევრებს შორის მოვხვდი. მიმტკიცებდნენ, მაჰმადიანობა სოციალისტური რელიგიაა და ერბაქანი სწორედ სოციალიზმის დასამყარებლად იბრძვისო. ერთმა ჩემმა თანამგზავრთაგანმა თავისი დაწერილი წიგნიც კი მაჩუქა „ისლამი და სოციალიზმი“ სამახსოვრო წარწერით. ძნელი სათქმელია როგორ მივიდა თავის პოლიტიკურ იდეებამდე ნეჯმეთინ ერბაქანი პროფესორი, ინჟინერ-მექანიკოსი, რომელსაც სურდა სახალიფოს აღდგენა თურქეთის მეთაურობით, არც მეტი არც ნაკლები.

თურქეშისა და ერბაქანის პარტიებთან ერთად აიკრძალა აგრეთვე მაოისტური მიმართულების „თურქეთის მუშათა და გლეხთა პარტია“, რომლის სათავეში იდგა დოღუ ფირინჩექი. სწორედ ეს პარტია იყო, რომელიც ზრდიდა მემარცხენე ექსტრემისტებს. სამხედრო ხელისუფლებამ დახურეს თურქეშის პარტიის გაზეთი „ჰერგიუნი“ და ფირინჩექის „აიდინლიქი“. ორივე ეს გაზეთი ანტისაბჭოური პროპაგანდის მოთავე იყო.

დანარჩენი პარტიების საქმიანობა კი ახალი კონსტიტუციის მიღებამდე დროებით შეჩერებულია, ისევე როგორც ყოველგვარი პოლიტიკური მოღვაწეობა ქვეყანაში.

* * *

**სასტუმრო**, სადაც ვჩერდები ხოლმე ანკარაში ჩასვლისას, ძალიან ახლოს არის სამართლიანობის პარტიის ბინასთან. იქ პარტიის ცენტრალური ორგანოები იყო მოთავსებული. მის წინ ყოველთვის უამრავი ხალხი ირეოდა. ახლა კი გამვლელს იშვიათად თუ ნახავდით. ბინა დალუქულია. ბულენთ ეჯევითს და სულეიმან დემირელს, თავს რომ არავინ დასხმოდა, გაძლიერებული დაცვა მიუჩინეს.

თურქეთის გაზეთები ყოველდღე ათავსებენ ცნობას პარლამენტის ყოფილი წევრების პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მას ვერც დემირელი და ეჯევითი გადაურჩნენ, თუმცა მათთვის წაყენებული ბრალდებები არც ისე მძიმე იყო და საქმე ჯარიმით ან საქმის მოსპობით დამთავრდა. სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დენიზ ბაიკალი სასამართლოში ბორკილდადებული მიიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ იგი ერთ დიპლომატიურ მიღებაზე შემხვდა, შესანიშნავ გუნებაზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროცესები „სიმბოლურია“, ისინი მაინც ევრენის წისქვილზე ასხამენ წყალს. ამავე დროს ბევრმა ყოფილმა დეპუტატმა ციხეში ამოჰყო თავი. როდესაც მათ საპარლამენტო ხელშეუხებლობა დაკარგეს, ბევრი ბინძური საქმე გამოაშკარავდა: ნარკოტიკების ვაჭრობა, კონტრაბანდისტობა, ქრთამების აღება, არაკანონიერ სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობა და ტერორისტულ ჯგუფებთან კავშირიც კი. ყველაფერი ეს შესანიშნავი პროპაგანდისტული მასალა იყო იმის დასამტკიცებლად, რომ არსებულმა კონსტიტუციამ არ გაამართლა, და რომ პარლამენტის ძველი შემადგენლობა ნდობას არ იმსახურებდა.

მივყვებით ფორთოხლის და ბანანის ბაღებს. რა ლამაზი, ზურმუხტისფერია ხმელთაშუა ზღვა. არ მოგწყინდება მისი ყურება. ყველგან თითქოს სიმშვიდე სუფევს. ცაზე ერთი ქულა ღრუბელიც კი არ ჩანს. ზღვას თავზე თავროსის თოვლიანი მთები ადგას. რატომ არიან ნეტავი ასე სპეტაკი ყველგან მაღალი მთები. გინდა სულ უყურებდე და უყურებდე თოვლიან მთებს, ფირუზისფერ ზღვას და აი იმ, მაღალ, ანამურის ციხე-კოშკს, კონცხად რომ შეჭრილა ზღვაში.

**ოთარ გიგინეიშვილი.**

(დასასრული იქნება)

---

# სინდისი რომ არ გვქენჯნიდეს...

**ჟურნალ** „ნოვი მირის“ ერთ-ერთ შარშანდელ ნომერში დაისტამბა მწერალ ვიტორია ტოკარევას მოთხრობა „უბედნიერესი დღე“, რომელსაც ქვესათაურად ახლავს მინაწერი „აქსელერანტი გოგონას ნაამბობი“. ამ მომცრო ნაწარმოებში, როგორც სარკეში, აირეკლა არა მარტო ერთი თხუთმეტი წლის გოგონას, არამედ მთელი მისი თაობის სულიერი სამყარო. მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი და მკაფიოდ გვაგრძნობინებს ნორჩი გმირის სანუკვარ ფიქრებს, მისწრაფებებს, ამაღელვებელ, საჭირბოროტო პრობლემებს, მოზარდის დამოკიდებულებას მშობლებისადმი, სკოლისადმი, ნაცნობ-მეგობრებისადმი. საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი, საერთოდ, მის გარშემო არსებული ცხოვრების წესისადმი. თანამედროვე ადამიანის, კერძოდ, ახალგაზრდის დამოკიდებულება დღემდე შემორჩენილი ნეგატიური მოვლენებისადმი ზედმიწევნით კრიტიკული და მძაფრია, რამეთუ, როგორც საბჭოთა კომუნისტების დიდ ყრილობაზე ითქვა, ჩვენი თანამედროვის — მუშა იქნება ის თუ კოლმეურნე, მეცნიერი თუ მოსწავლე — ინტელექტისა და პიროვნული განვითარების დონე თვალსაჩინოდ ამაღლდა. შესაბამისად გაიზარდა მისი სულიერი მოთხოვნებიც, იგი უფრო აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ პროცესმა სასიკეთო გავლენა მოახდინა ჩვენი საინტერესო დღევანდელობის უკლებლივ ყველა სფეროზე. ამ ფონზე საოცარ ანაქრონიზმად გამოიყურება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჯერაც მკვიდრად ფესვგადგმული პროპაგანდის უსულგულო შტამპები, ტრაფარეტები, სქემები, რომლებიც პროკრუსტეს სარეცელს წააგავს. ძნელია, ძალზე ძნელია განსაზღვრო ის უდიდესი ზიანი, რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის მოაქვს პროპაგანდის ამგვარ ფორმებს. გერმანულ ენაში არის სიტყვა „კიჩი“. იგი გამოხატავს უგემოვნობას, „ხალტურას“ არა მარტო ლიტერატურასა და ხელოვნებაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

„კიჩი“ არის პრიმიტიული ხალიჩები, რომლებზეც გამოსახულია უგემოვნო მხატვრის „რომანტიკული“ ქალთევზები. „კიჩი“ არის უიმედოდ მოძველებული, ვიებერთელა მარმარილოს საწერი მოწყობილობა, „კიჩი“ არის ზესტრადულად ქცეული უნიჭო რომანები, „კიჩი“ არის, მაგალითად, თუ ჩვენს სინამდვილეს მივუყენებთ, ზოგიერთ საცხოვრებელ მასივში სოკოებივით მომრავლებული, მოსაწყენი ერთფეროვნებითა და უგემოვნობით დაღდასმული „კოლოფის“ ფორმის სახლები, „კიჩი“ არის ესტრადის უნიჭო ნაწარმოებები, რომლებსაც ნაწარმოებს მხოლოდ პირობითად ვუწოდებთ მისი შინაარსის გამომხატველი სხვა სიტყვის უქონლობის გამო. ეს საეჭვო ღირსების მელოდიები თავისებური ნარკოტიკია, რომელიც იწვევს ახალგაზრდების ერთი ნაწილის სულიერ ეროზიას, ჩრდილს აყენებს ჭეშმარიტ ხელოვნებას. იგივე ითქმის ფილისტერულ პოეზიურ, მხატვრულ ნაწარმოებებზე, რომლებიც ლიტერატურისა და ხელოვნების საქმოსანთა ნამოღვაწარია და ყველა არსებული ხერხითა თუ საშუალებით გზას იკვლევს მრავალათასიანი ტირაჟის მქონე ბეჭდური გამოცემებისაკენ. „კიჩი“ ზოგჯერ ავიწროებს ადამიანთა სულიერ სამყაროსაც, მათს სამსახურებრივ და პირად ურთიერთობასაც. ასეთ ადამიანებს სამართლიანად უწოდებენ სოციალურ ანტიპოდებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მაქსიმალური ეფექტიანობით ვერ ებრძვიან მათს აგრესიულ გამოხდომებს ჩვენი საბჭოური ცხოვრების წესისა და საზოგადოების წინააღმდეგ. მათ აუნაზღაურებელი ზიანი მოაქვთ, ისინი გზას უხშობენ ყოველივე პროგრესულს, ჭეშმარიტს, ადამიანურს. ეს არის პოლიტიკურად, სოციალურად, ზნეობრივად წამხდარი მოდგმა „სულიერი პროლეტარისა“, რომელსაც არაფერი ესაქმება კომუნისტურ საზოგადოებაში.

მე ერთხანს ვმუშაობდი დაწესებულებაში, სადაც საკმაოდ კარგად გავიცანი მის ერთ-ერთ ხელმძღვანელს. მაშინ ჯერ არ ვიცოდი სიტყვა „კიჩის“ მნიშვნელობა. ახლა, მრავალი წლის შემდეგ, თამამად შემიძლია ვუწოდო მას „ადამიანი-კიჩი“. საქმე ეხება არა ერთ რომელიმე პიროვნებას, თუმცა მან შესაშური სიმტკიცითა და თანამიმდევრობით შეძლო თავს მოეხვია თანამშრომელებისათვის მუშაობის უმართებულო წესი, არამედ მის მსგავს ადამიანებს, ასეთი ადამიანები კი, ჩვენდა სავალალოდ, კიდევ არიან.

დავუბრუნდეთ „ადამიან-კიჩს“ და შევეცადოთ დავხატოთ მისი პორტრეტი იმ იმედით, რომ ზოგიერთისთვის ეს შეიძლება ჭკუისსასწავლებელი იყოს. რა შეიძლება იწოდოს სოლიდური დაწესებულების ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რომელმაც შეიძლება დაიწუნოს ლექსი მხოლოდ ამგვარი ცნობილი ფრაზისათვის: „ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო, — რაო, ბატონო, მელაო?“ როგორ შეიძლება, მისი აზრით, მელა ბატონი იყოს! რა შეიძლება იწოდოს იმ ადამიანს, რომელიც განთქმულ რომანსს მხოლოდ იმიტომ დაიწუნებს, რომ მისი სახელწოდებაა „მზე აღარ ბრწყინავს“, ასევე უარყოფს პატარების საყვარელ „ნიანგ გენას სიმღერას“ მარტო იმიტომ, რომ, მისი აზრით, ნიანგმა შეუძლებელია იმღეროს, თუნდაც მულტიპლიკაციურ ფილმში. რაღად უნდა გვიკვირდეს ამის შემდეგ, რომ მოღვაწისა და მორალისტის მოსასხამში გახვეული ადამიანი საჯაროდ აცხადებს, ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს, პლაჟზე ახალგაზრდები თითქმის შიშვლები დადიანო. ეს კიდევ არაფერი. წარმოიდგინეთ, რა ბედი ეწევა იმ პროდუქციას, რომელსაც ვიზა მან უნდა მისცეს. ასეთ კაცს მებაღესავით ხელთ უპყრია სიმბოლური მაკრატელი, რომლითაც უმოწყალოდ კრეჭს ყოველივეს, რაც, მისი აზრით, ალესაკვეთია.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითების მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი შემოქმედების, ახლის ძიების თავისებურ სულთამხუთავად წარმოგვიდგება. ავტორები და თანამშრომლები, რა კი იციან მისი აზრების წყობა, ცდილობენ მისი გემოვნებისა და თვალსაზრისის მიხედვით შექმნან პროდუქცია, მაგრამ ეს განსაცვიფრებელია, რომ ადამიანი მაინც ახერხებს ფაქტობრივად საკუთარი ნააზრევის „შეკრებას“. აქედან იღებს სათავეს შტამპი, ტრაფარეტი, სქემა, აქ იბადება უკიდურესი სუბიექტურობა, ვოლუნტარიზმი.

უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ნაწარმოები (საუბარია ლიტერატურაზე, კულტურასა და ხელოვნებაზე) მხოლოდ მაშინ იქნება იდეურად გამართლებული, თუკი შესრულებულია მაღალმხატვრულ და პროფესიულ დონეზე. არადა, ვისაც ბეჭდურ ორგანოებთან ჰქონია საქმე, მშვენივრად მოეხსენება, როგორი სიცოცხლისუნარიანი, მომაბეზრებელი და აგრესიულიც კი არის გრაფომანთა მოდგმა, რომელიც დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხებით ცდილობს ლამის „შეამტვრიოს“ რედაქციის კარი. ისინი თავისებურ სპეკულაციას ეწევიან თავიანთი ფილისტერული, ყოვლად უსუსური თხზულებების მოჩვენებითი იდეურობით და აუარებელ დროს აკარგვინებენ არა მარტო რედაქციებს, არამედ სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებსაც.

ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო. შესაძლოა, სალაპარაკოდაც არ ღირდეს, რადგან წინასწარ უნდა გითხრათ, მასალა არ დაბეჭდილა, მაგრამ იგი ასე თუ ისე ტიპურია ზოგიერთ ავტორთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ერთ-ერთი რაიონიდან ჩამოვიდა სკოლის მასწავლებელი და მოგვიტანა წერილი დიდი სამამულო ომის თემაზე. მასალა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა და მიუხედავად რედაქციის მუშაკების მცდელობისა, მისგან არაფერი „გამოდნა“. ამის შემდეგ დაიწყო „ომი“, რომელიც რამდენიმე თვეს გაგრძელდა. საიდან არ რეკავდნენ, საიდან არ მოდიოდნენ, რომ ავტორს საწადლისთვის მიეღწია. „მზრუნველ“ პროტექტორებს მოთმინებით ვუხსნიდით, რომ წერილი არ იმსახურებს დაბეჭდვას, თანაც დავძენდით, რომ დიდი სამამულო ომი ალბათ ყველაზე წმიდათაწმიდა თემაა, რომელიც დღემდე საოცარი ძალით აფიქრებს და აღელვებს თითოეულ საბჭოთა ადამიანს, რომ, ყველაფერთან ერთად, აღნიშნულ მასალას ავტორმა ვერ მოუძებნა შესაფერი პროფილი... როგორ გგონიათ, რა არგუმენტები მოჰქონდათ მიზნის მისაღწევად? — ერთნი ამბობდნენ, მასალა არ წაგვიკითხავს, მაგრამ აქტუალურ თემას ეძღვნებაო. მეორენი — ქვეყანა არ დაიქცევა ერთი სუსტი წერილის დაბეჭდვით, რამდენი უმწეო ნაწარმოები ნახულობს დღის სინათლესო. რა შეიძლება დაერქვას ამას? ვგონებ, კომენტარი ზედმეტია. ეს არის „ავტორი-კიჩი“, ეს არის „პროტექტორი-კიჩი“, ეს არის „კიჩი“, რომელიც შეურაცხყოფს ყველაზე კეთილშობილურ იდეას, ჩანაფიქრს.

კიდევ ერთი მაგალითი. მეცნიერი მრავალი წლის მანძილზე იღვწის, იკვლევს, ფიქრობს, ქმნის, ეძიებს ახალს. მისი შრომა კი ზოგჯერ არ ფასდება. მეტიც, სუბიექტურად განწყობილი ზოგიერთი კოლეგა ყოველნაირად უხშობს გზას მის გამოკვლევებს, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ლაფში სვრის მის პიროვნებასა და მოღვაწეობას. ავტორიტეტული საკავშირო და საზღვარგარეთის გამოცემები ხალისით, ინტერესით ხვდებიან და აქვეყნებენ მის ახალ მოსაზრებებს პედაგოგიკის აქტუალურ, საჭირბოროტო პრობლემებზე, შინ კი მას „შენდობა არა აქვს“. მის მონაკვლევს მხოლოდ მუქ ფერებში აღიქვამენ. საქმე კი ეხება ისეთ მნიშვნელოვან, სადღეისო და სათუთ სფეროს, როგორიცაა ბავშვთა სწავლა-აღზრდის შემდგომი სრულყოფა და გაუმჯობესებაა. რაში ადანაშაულებენ ნაშრომების ავტორს? ყოველნაირი სამეცნიერო ხასიათის ცოდვაში, რისი მოგონებაც და არმოგონებაც შეიძლება, ოღონდ ზოგადად, არაკონკრეტულად, დაუსაბუთებლად. კიდევ კარგი, რომ ჩვენს სწავლულს მეცნიერული ღირსებების გარდა პრინციპულობა და სიმტკიცეც აღმოაჩნდა, თორემ ასეთი გაგულისებული შეტევების შემდეგ ბევრი მის ადგილას ხელს ჩაიქნევდა. ბრძოლა პროგრესულის, ახლის ძიების წინააღმდეგ — ეს გახლავთ „კიჩი“.

ჩვენ არ დაგვვიწყებია თხუთმეტი წლის გოგონა, რომელიც ასეთი კიჩების უნებური მსხვერპლი შეიძლება გახდეს. იგი ჩვენი მომავალია, ეს ფიქრიანი, ასაკის კვალობაზე საკმაოდ განათლებული უბრალო რუსი გოგონა, რომელიც მთელი თავისი არსებით უარყოფს და ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოებისათვის შეუფერებელ მოვლენებს. მისი ბავშვური სული სპეტაკია და უმწიკვლო, იგი ხარობს სიცოცხლით, მას ბევრი, ძალზე ბევრი რამ მოსწონს, მაგრამ ასეთივე ძალით შინაგანად ებრძვის ყოველივე დახავსებულს, მოძველებულს, უსულგულოს, უშინაარსოს. ამ გოგონასთან, მის თაობასთან, საერთოდ, ხალხთან მხოლოდ თანამედროვე, გულწრფელი, უშუალო და საინტერესო მიდგომაა საჭირო, მიდგომა, ჩამოშორებული ყოველგვარ დრომოჭმულს. სწორედ ამ სულისკვეთებით, ნამდვილი კომუნისტური სულისკვეთებით არის აღსავსე პარტიის დიდი ყრილობის სახელმძღვანელო მოთხოვნები, რომლებიც მოგვიწოდებს შემოქმედებითად გავიაზროთ და გარდავქმნათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რათა კომუნიზმის მშენებელი ხალხის მოღვაწეობასა და საქმიანობას არავითარი ხინჯი არ ახლდეს.

**ა. გოგელია,**

ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი.

---



**რესპუბლიკური თეატრალური აფიშა**



## „საიდუმლო ქორწინება“ ქუთაისში

ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ამ სეზონში არაერთი საინტერესო ჩანაფიქრი აქვს. რეპერტუარი ივსება ახალი დადგმებით.

ახლახან თეატრს პრემიერა ჰქონდა — წარმოადგინა იტალიელი კომპოზიტორის დ. ჩიმაროზას ორმოქმედებიანი კომიკური ოპერა „საიდუმლო ქორწინება“.

ოპერის დამდგმელი რეჟისორი და მხატვარია გ. თუმანიშვილი, დირიჟორი — თ. ჭუმბურიძე.

მუსიკალურ სპექტაკლში როლები შეასრულეს ბ. მელაძემ, ი. ოცხელმა, ა. გუჯაბიძემ, ლ. მესხმა.

სურათებზე: სცენა ოპერიდან „საიდუმლო ქორწინება“; კაროლინას როლში ლ. მესხი, პაოლინო — ა. გუჯაბიძე.

გ. გერსამიასა და ა. მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

---

„სტუდენტური დღეები-81“

# მადლობა ზრუნვისათვის

**10 აპრილიდან** ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყება „სტუდენტური დღეები-81“—ქართველი ახალგაზრდობის დღესასწაული, რომელიც უკვე ხუთი წელია ტრადიციად დამკვიდრდა. ჩვენს რესპუბლიკაში ეს მასობრივი ზეიმი გადაიქცა სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეალებისადმი სტუდენტური ახალგაზრდობის ერთგულების გამოხატვის მკაფიო ფორმად. ეს დღეები ფართო შესაძლებლობას სახავს შემოქმედებითი ნიჭის, ორგანიზატორული უნარის გამოვლინებისათვის, მეცნიერული ინტერესების განვითარებისათვის.

საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ახლა ემზადებიან გაზაფხულის ნათელი დღესასწაულისათვის. „დღეების“ მოახლოებასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტს თავიანთი აზრები და გრძნობები გაუზიარეს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა.

**ლეილა დაუშვილი**, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე:

— ჩვენ, დღევანდელი სტუდენტები, ვემზადებით იმისათვის, რომ ხვალ შევემატოთ სპეციალისტ-აგრარიკოსთა არმიას, რომელიც მოწოდებულია გადაწყვიტოს 80-იანი წლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა — სურსათით ხალხის სრული უზრუნველყოფის პრობლემა. ეს გარკვევით ითქვა სკკპ XXVI ყრილობაზე.

„სტუდენტური დღეები“ — ანგარიშია ჩვენი სწავლის, მეცნიერული და საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ. სიხარულით ვიტყვით, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აკადემიური წარმატების მიხედვით შევიდა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების პირველ ხუთეულში, რისთვისაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა. წარმატებას ხელი შეუწყო სწავლის პროცესზე სტუდენტთა პარტიული ჯგუფების გავლენის გაძლიერებამ. უმაღლესი სასწავლებლის მთელი პარტორგანიზაციის მესამედს ხომ სტუდენტები შეადგენენ და მათ დიდი ავტორიტეტი აქვთ.

სახელმწიფოს ზრუნვა ჩვენთვის, სტუდენტებისათვის, იმითაც ვლინდება, რომ დღენიადაგ მტკიცდება ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იხსნება ახალი ლაბორატორიები, სასწავლო მეურნეობებში იქმნება კათედრების ფილიალები. ეს ხელს უწყობს უფრო ნაყოფიერ სწავლასა და მეცნიერულ მუშაობას.

**მარინე ბაკურაძე** — საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ვეტერინარიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი, ლენინური სტიპენდიანტი:

— წლევანდელი „სტუდენტური დღეები“ განსაკუთრებული დღესასწაულია. იგი გაიმართება პერიოდში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა აჩაღებს გიგანტურ აღმშენებლობით მუშაობას პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და იდეების განსახორციელებლად.

ყრილობაზე მეცხოველეობას სოფლად დამკვრელური ფრონტი უწოდეს. ჩვენ, დარგის მომავალ სპეციალისტებს ეს ბევრს გვავალებს. მე, მაგალითად, ინსტიტუტში შევედი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა გავლენით, პლენუმისა, რომელმაც დაგვისახა ამოცანა გადავაქციოთ საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად. ეს ამოცანა დღესაც აქტუალურია და მოუთმენლად ველი დღეს, როცა დამოუკიდებელ მუშაობას შევუდგები.

## ძველი და ახალი თბილისი



ს. კილაძის ფოტო.

## სანდრო ეულის დაბადების 90-ე წლისთავის გამო

# გულმართალი პოეტი და მოქალაქე



**სანდრო** ეული ქართველ პროლეტარულ მწერალთა პირველი თაობის ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენელია. მან რევოლუციონერი პოეტის რთული და ძალზე საინტერესო გზა განვლო.

სანდრო ეული იყო საქართველოს პროლეტარული მწერლობის ასოციაციის ერთ-ერთი მეთაური, რომელიც თავის დროზე საბჭოთა ლიტერატურის ყველაზე საიმედო ბირთვს წარმოადგენდა. სხვადასხვა დროს ს. ეული რედაქტორობდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებს, იყო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების წევრი.

იგი გარდაიცვალა 1965 წელს.

პოეტი სამწერლო ასპარეზზე რეაქციის წლებში გამოვიდა. მისი პირველი ლექსი 1909 წელს დაიბეჭდა. როცა უკვე მიღებული ჰქონდა რევოლუციური ნათლობა. იგი თანამიმდევრულად მიჰყვება იმ გზას, რომელსაც რუსეთის პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე სათავე დაუდო ირ. ევდოშვილმა. ს. ეულის ეს სიახლოვე დემოკრატიულ მწერლობასთან თვალსაჩინოდ ჩანს თემატიკაშიც, იდეურ პოზიციაშიც. მისი ლექსების ლირიკული გმირია უბრალო მშრომელი ადამიანი მთელი თავისი სულიერი ცხოვრებით. დემოკრატიული მწერლობის სხვა წარმომადგენელთაგან სანდრო ეული გამოირჩევა გამარჯვების წრმენითა და ნათელი ოპტიმიზმით — იმედით შეჰყურებს მომავალს და ამაყად ამბობს:

**ბედით გმობილი,**
**გულდაკოდილი,**
**ტანჯულ ცხოვრებას არ**
**დავემონე, —**
**შორით გავხედე, — ბრძოლა**
**გავბედე, —**
**დიადი რწმენა გულს**
**ჩავიკონე**
**(„ქარიშხლის წინ“).**

სანდრო ეული თავიდანვე მთლიანად პოლიტიკურ ლირიკას დაუკავშირდა და საგიტაციო-მობილიზაციო ფორმა აირჩია.

სანდრო ეული აღფრთოვანებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, „ავრორას“ ზარბაზნების ქუხილი პოეტმა განიცადა როგორც სანეტარო ზარის ხმა, რომელიც თავისუფალი ცხოვრებისათვის მოუხმობდა მშრომელებს. ასეთი განწყობილებაა გადმოცემული 1917 წელს გაზეთ „ბრძოლაში“ გამოქვეყნებულ ლექსში „ზარი რეკს, ზარი!“ პოეტს სურს, თავის სამშობლოშიც იხილოს ოქტომბრის ზეიმი.

როდესაც ქართველმა მენშევიკებმა შეძლეს საქართველოს ჩამოშორება ბოლშევიკური რუსეთისაგან, სანდრო ეული უმთავრესად პარტიულ-ორგანიზაციულ საქმიანობაშია ჩაბმული და შედარებით ნაკლებს მუშაობს მხატვრულ შემოქმედებაში. იგი თვითონვე წერს ავტობიოგრაფიაში: „იმ დროს პოეზიისთვის ნაკლებად გვეცალა, მებრძოლი თოფს კალამში არ გაცვლიდა“. მაგრამ მას კალამი მთლიანად როდი მიუტოვებია, დაწერა და გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი, რომლებიც განმსჭვალულია მებრძოლური პათოსით და გამარჯვების რწმენით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებში პატიმარი პოეტი წერს ლექსებს „თებერვლის ღამე და გათენება“, „წითელ საქართველოს“, „სადღეგრძელო“ და სხვ., რომლებშიც გამოხატავს უსაზღვრო აღფრთოვანებას მშრომელთა გამარჯვების გამო.

საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის წლებშიც სანდრო ეულს არასოდეს უღალატია თავიდანვე არჩეული გზისთვის. იგი კვლავ დარჩა მგზნებარე აგიტატორად. მას არავითარი იდეური გარდაქმნა არ დასჭირვებია. თუ ძველად თავისი ლექსებით რევოლუციური ბრძოლებისათვის მოუწოდებდა მკითხველს, ახლა უკვე რევოლუციის მონაპოვრისა და ახალი, ბედნიერი ცხოვრების მეხოტბე ხდება. ეს კეთილშობილური საქმე მიაჩნია პოეტს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად.

სანდრო ეულმა პოეტურ ეპოსსა და დრამატურგიაშიც სცადა კალამი. დაწერა პოემა „არწივის ბუდიდან“ და დრამატული პოემა „დაბადება“. იგი მთარგმნელობითს მოღვაწეობასაც ეწეოდა. სათარგმნ მასალას ძირითადად რევოლუციური პოეზიიდან ირჩევდა, რაც კარგად ერწყმოდა მის საერთო შემოქმედებითს ინტერესებს. მან თარგმნა ფრ. ენგელსის, კ. ლიბკნეხტის, მ. გორკის, დ. ბედნის, ა. აკოპიანის და სხვათა რევოლუციური პოეზიის ნიმუშები.

ლექსების იდეური სიცხოველე, თემატური აქტუალობა და, რაც მთავარია, მოქალაქეობრივი უშუალობა სანდრო ეულს თვალსაჩინო ადგილს აკუთვნებს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

**ა. მირიანაშვილი.**

## ინფორმაცია - 81

### მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად

**სოხუმი.** აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო საქართველოს კომპარტიის გალის რაიონული კომიტეტისა და გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის წინადადება გალის რაიონის სოფელ შეშელეთში გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ილია ნესტორის ძე ვეკუას სახლ-მუზეუმის შექმნის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრეს შესაბამისი ორგანოების წინაშე ქ. გალში აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას ძეგლის დადგმის და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის თხოვნის გათვალისწინებით ამ ინსტიტუტისათვის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელის მინიჭების შესახებ.

**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

### ცირკი გიწვევთ

**ქართული ცირკის დასი ემზადება დიდ არენაზე გამოსასვლელად. მაისის პირველ რიცხვებში იგი პრემიერას გამართავს თბილისში. მისი პროგრამა ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.**

**ცირკის ასპარეზზე მაყურებელი ნახავს ჩვენს საუკეთესო ძალებს. წარმოდგენის კულმინაცია იქნება კოსმოსური ფანტაზია — ფრენა ცირკის გუმბათქვეშ.**

**(საქინფორმი).**

## ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის

# ბოლშევიკური წრთობისა

ნარკვევი

**მზით** სავსეა შარაგზა, მზე ილვრება თითოეული სახლის კუთხე-კუნჭულში. ამაღლებულა ჭერი, სოფლის ღონეს კიდევ უფრო უმძლავრია და საქვეყნო საქმეთა საკეთებლად შეუმართავს თავისი შვილები — ხუბაშვილები, გუჩაშვილები, კუსრაშვილები, საბანაშვილები, ბესთავაშვილები, ზასეიშვილები — უკლებლივ ყველანი, აქაური მკვიდრნი. სოფელში ოთხმოცამდე კომლია — ოთხმოცი სვებედნიერი ოჯახი, წელგამართული რომ შეხვდნენ პარტიის XXVI ყრილობას, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს.

სამანქანო გზა გვირისტის წნულივით ევლება თიანეთის რაიონის სოფელ ბოჭორმას. შედიხარ ამ გზით სოფელში, თვალხარბად ათვალიერებ მის წარმტაც სანახებს, საგულდაგულოდ მოვლილ ეზო-მიდამოებს, თანამედროვე სტილით გაწყობილ სახლებს და მადლიერების გრძნობით ივსები იმათ მიმართ, ვინც თავისი გარჯით, მტკიცე ხელითა და უშურველი ენერგიით სოფელს სადღეისო სახე მისცა, გაამშვენიერა და საცხოვრებლად მიმზიდველი და საინტერესო გახადა. ეს, ცხადია, უწინარესად მის მკვიდრთა შრომის შედეგია.

— დიახ, სოფელს მისივე შვილები უმაგრებენ ფუძესა და ბალავარს, სოფლის ღონე პირველყოვლისა მის ალალ მკიდრთა სინდის-ნამუსი და კაცურკაცობაა, — ამბობს მათე ხუბაშვილი და გამჭოლი მზერით, გამოუთქმელი სიყვარულით გასცქერის ივრის ატეხილ ჭალებს, გარსშემოჯარულ სერებსა და გორებს, ხეხილის ბაღებს. გრძნობ, ეს კაცი მტკიცედ დგას ამ მიწაზე, მისი ღონე და მადლი შეუცნია და შეუსისხლხორცებია.

კაცის ცხოვრებას, ადამიანის ბედს, უწინარეს ყოვლისა, დრო, ისტორიის ჩარხის ტრიალი განსაზღვრავს. მათეს მსოფლმხედველობა კომუნისტურ საწყისებზე ჩამოყალიბდა და შემდგომ, გრძელი ცხოვრების მანძილზე, ეს მრწამსი ნათელ შუქურასავით აელვარდა და გაბრწყინდა.

84 წლისაა მათე ხუბაშვილი. მისი პარტიული სტაჟი სრულ 60 წელს მოიცავს. დიახ, საბჭოთა საქართველოს დაბადების წელს გახდა იგი კომუნისტი, შეუერთდა მტკიცე ბოლშევიკ-ლენინელებს და მას შემდეგ ცხოვრობს და იბრძვის, ქმნის და აშენებს გულის კარნახით, სინდისის მოწოდებით...

...ღარიბი გლეხის ოჯახში ათი შვილი იზრდებოდა. იყო შიმშილი და გაჭირვება. უფროსი ძმები მოჯამაგირედ იდგნენ და ლუკმაპურს აწოდებდნენ უმცროს და-ძმათ.

**პარტიის ვეტერანის ნაამბობი:** ცხრამეტი წლისა მეფის არმიაში სამსახურისათვის გაიწვიეს. რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცებისაგან ბევრს სწავლობს, საბოლოოდ დგება პროლეტარიატის დიდი საქმის მხარეზე. სულ მალე ზამთრის სასახლის შტურმი წარმატებით დაგვირგვინდა და მათე მშობლიური სოფლისაკენ მოეშურება, რათა რევოლუციას გაუწიოს პროპაგანდა, მისი საქმისათვის დარაზმოს რაც შეიძლება მეტი მთიელი, რევოლუციურად განაწყოს ისინი. გომბორში მოხალისეთა არმიის წევრებს შეუერთდა და პრაქტიკულად შეუდგა დიდი საქმისათვის ბრძოლას.

და, ბოლოს, დადგა ნანატრი დღეც — 1921 წლის 25 თებერვალი... საქართველოში იწყება სოციალიზმის მშენებლობა.

ჰოდა, ვინ უნდა აშენოს ახალი ცხოვრება, თუ არა უპირველეს ყოვლისა კომუნისტებმა, — ამ შეგნებით ილვწოდა სხვებთან ერთად მათე ხუბაშვილიც.

**საკოლმეურნეო მშენებლობის ძველი თაობის წარმომადგენლები, მ. ხუბაშვილის მეზობლები და თანამოსაქმენი სტეფანე გიგოლაშვილი და ზაქრო ხუბულური იგონებენ:** სოფელში საზოგადოებრივ მეურნეობას ეყრება საფუძველი და ყველაფერი დიდი შემართებისა და ბრძოლის ფასად კეთდება. აქაც პირველი იყო მათე. იგი შვიდი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ახლად შექმნილ კოლმეურნეობას. შემდეგ კი იზრდება ახალი თაობა, სწავლა-განათლება და მწიგნობრობა მათთვის ხელმისაწვდომია და წამყვან პოზიციებსაც ისინი იკავებენ. ამასთანავე მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, მათე ხუბაშვილმა და მისი თაობის კომუნისტებმა რომ შეიძინეს, ფასდაუდებელი წვლილი გახდა ახალი კადრების წრთობისა და დაოსტატებაში, სწორი გზის შემუშავებაში.

...და ჩაუქროლია წლებს, სწრაფად, ელვისებურად. სიტყვით ითქმის ასე, თორემ საქმით ამ წლებმა შექმნა მთელი მატიანე, ხის გუთნიდან თანამედროვე სასწაულმოქმედ ტექნიკამდე, ბევრად იცვალა სახე სოფელმაც.

იმათ შორის, ვინც სოფელი აშენა, დაამშვენა და საცხოვრებლად საინტერესო და შინაარსიანი გახადა, მათე ხუბაშვილიც არის.

სოფლის სახელოვან შვილს შინ ვეწვიეთ, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მუშაობა სულ რამდენიმე დღის დამთავრებული იყო და, ცხადია, მის ცხოველ შთაბეჭდილებებსა და შედეგებზე გაიმართა საუბარი. მოხუცის სახეს ნათელი გადაჰფენოდა. საქმემ, რომლისთვისაც ის იბრძოდა, გაიმარჯვა და ახარა მილიონები.

პარტია ჯეროვნად აფასებს ხალხის საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს. მათ უზრუნველი სიბერე და ყოველგვარი ხელშეწყობა აქვთ. ასეა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი მათე ხუბაშვილიც, რომლის ცხოვრება, როგორც სარკეში, ისე ნათლად ჩანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელ წერილში, რომელიც მან ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის საიუბილეო დღეებში მიიღო.

...გარეთ სოფელი ხმაურობს, ეზოში შვილიშვილებისა და მეზობლის ბავშვების მხიარული შეძახილები ისმის და მოხუცს სახეზე ნათელი გადასდის, მისი ჯიში და ჯილაგი გამრავლებულა ქართულ მიწაზე, მძლავრ ფესვებზე ჯანსაღ ყლორტებს ამოუხეთქავს.

მის კერაზე მომავალი ზეიმობს და ფრთებს შლის. ბედნიერებაა, იცხოვრო მომავლისათვის. სხვა ბედნიერებაზე მათე ხუბაშვილს არც უოცნებია.

**გ. ხახიაური.**
თიანეთის რაიონი.



**სურათზე:** მათე ხუბაშვილი ნორჩი თაობის წარმომადგენლებთან.

## ფეხბურთი 81

# საჭიროა მობილიზება

**მოსკოველ** თანაკლუბელებთან გუშინდელ მატჩში, მართალია, ინიციატივა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს ეპყრათ, მაგრამ უპირატესობის რეალიზაცია ვერა და ვერ შეძლეს. სტუმრები ლანდივით დასდევდნენ მასპინძლებს და დასახული ამოცანა — ხელი შეეშალათ თბილისელებისათვის თავიანთი ტექნიკური უპირატესობის გამოყენებაში — შეასრულეს. ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ მეტოქეთა საჯარიმო მოედანზე „დასახლებულმა“ და ერთთავად მოიერიშე მასპინძლებმა რეალური საფრთხე ვერ შეუქმნეს მოსკოველთა მეკარე პილგუის.

სტუმართა ეპიზოდური იერიშებიდან კი ორი მასპინძელთა კარის აღებით დამთავრდა: 26-ე წუთზე დაახლოებით 25 მეტრიდან ზუსტად დარტყმული ბურთით მენტიუკოვმა იმარჯვა, 43-ე წუთზე კი — გაზაევმა, რომელიც მეკარის პირისპირ გავიდა და ანგარიში 2:0-მდე გაზარდა. ორივეჯერ მცველები ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე, მათთან ერთად მეკარეც, რომელმაც მის კარში გატანილ პირველ ბურთზე დროული რეაგირება არ მოახდინა. ერთი სიტყვით, თბილისის „დინამოს“ უკანა ხაზებში მეტი სიმტკიცე სჭირდება და ბოლოხანს თავჩენილ ამ პრობლემას რაც ადრე გადავწყვეტთ, ცხადია, მით უკეთესი იქნება.

თბილისის „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი (ჭილაია), თავაძე, დარასელია (კაკილაშვილი), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, ქვაჩი. თბილისელთა შემადგენლობაში ისევე, როგორც წინა მატჩში, ამჯერადაც არ იყვნენ ხინჩაგაშვილი და შენგელია. ტრავმამოუშუშებელი ხიზანიშვილი და დარასელია კი ჯარიმის ზღვრამდე მოთამაშე სტუმრებთან მატჩში უარესად დაშავდნენ და მაყურებლებმა გადაინაცვლეს.

ამიტომ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზეც: წლევანდელი ჩემპიონატის უკვე მეოთხე მატჩი გამართეს თბილისელებმა და ოთხსავე შეხვედრაში მათ მეტნაკლები უხეშობით უმასპინძლდებიან მეტოქეები. მსაჯები ლიბერალობენ, თავიდანვე არ აღკვეთავენ ხოლმე ამგვარ გამოვლინებებს. გუშინდელ მატჩში ნოვიკოვის მისამართით უგვაროოდელი არბიტრის ა. ტემეტევის მიერ მეოთხმოცე წუთზე ამოღებული ყვითელი ბარათი, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ დაყოვნებული ღონისძიება გახლდათ.

თბილისის „დინამომ“ ამჯერად გასაღები ვერ მოუძებნა მოსკოველ თანაკლუბელთა ტაქტიკას და, ცხადია, დამარცხდა. „ფეიენოორდთან“ მოახლოებული მატჩის წინ, მთავარია, „დინამომ“ შეძლოს სათანადოდ მობილიზება და გუშინდელი მარცხით გამოწვეული უსიამო გრძნობა ჰოლანდიელებთან მოპოვებული წარმატებით გაგვიქარვოს. ეტყობა სამედიცინო სამსახურმაც თავისი სიტყვა უნდა თქვას, ყველა ღონე იხმაროს დაშავებულთა გამოჯანმრთელებისათვის.

**ჯ. ენუქიძე.**

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის კიდევ 7 მატჩი. შედეგები ასეთია:
„შახტიორი“-„ჩერნომორეცი“—2:0
„დნეპრი“-„დინამო“ (კ) — 0:1
„ყაირათი“-„ტავრია“ — 0:0
„ფახთაქორი“-„ყუბანი“ — 0:1
ასკ-„ტორპედო“ — 0:0
„ნეფთჩი“-ცსკა — 2:1
„სპარტაკი“-„არარატი“ — 3:0

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 5 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 6 |
| „დინამო“ კ. | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 5 |
| „დინამო“ მნ. | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 4 |
| „შახტიორი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 4 |
| „დინამო“ თბ. | 4 | 2 | 0 | 2 | 7-6 | 4 |
| „ნეფთჩი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 4 |
| „ტორპედო“ | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 4 |
| „დინამო“ მ. | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 3 |
| ასკ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 3 |
| „ყუბანი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 3 |
| „ტავრია“ | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 3 |
| „ყაირათი“ | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| „არარატი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 2 |
| ცსკა | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| „ფახთაქორი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| „ჩერნომორეცი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 0-3 | 1 |
| „დნეპრი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| „ზენიტი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |


ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

8 აპრილს

**ფეხბურთი**

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე (ნახევარფინალი)



თბილისის „დინამო“— ჰოლანდიის „ფეიენოორდი“

დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებისათვის ბილეთები გაიყიდება 6 და 7 აპრილს 10 საათიდან;

1981 წლის აბონემენტებზე — მ-1 ტალონით სტადიონის № 1-16 სალაროებში 6-7 აპრილს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათზე).

ბილეთების საერთო გაყიდვა — 8 აპრილის 10 საათიდან სტადიონის № 1-16 სალაროებში (№ 7 სალაროს გარდა).

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებს, გმირებსა და სამამულო ომის ინვალიდებს ბილეთები შეუძლიათ შეიძინონ № 7 სალაროში 8 აპრილს 10 საათიდან.



რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.


## რეპლიკა

### ყმაწვილები სპილოს ითხოვენ

**მარად** ცოცხალი ბუნების განუყოფელი ნაწილი მცენარეებთან ერთად ცხოველები და ფრინველებიც არიან, და სიმბოლურია, როცა ბავშვს წერა-კითხვას ვასწავლით, როცა სამყაროს ვაცნობთ, ია-იათი და შოშიათი, თავთავითა და ირმით, ვაზითა და ხოხბით ვიწყებთ.

„დედაენას“ ვფურცლავთ. მასში დაბეჭდილ ერთ-ერთ პატარა მოთხრობაში გადმოცემულია ბავშვის განცდები, როცა იგი პირველად ათვალიერებს ზოოპარკს, „თედოს ყველაზე მეტად სპილო მოეწონაო“ — ვკითხულობთ წიგნში. ცხადია, ამ ამბის წაკითხვის შემდეგ ბევრ ყმაწვილს გაუჩნდება სურვილი ერთხელ მაინც შეავლოს თვალი ამ გიგანტს, რომელსაც ბადალი არა ჰყავს ხმელეთზე მობინადრე ცხოველთა შორის. იყო დრო, როცა თბილისის ზოოპარკში მისულთ მართლაც ხიბლავდა ინდური სპილო „მალკა“. იგი ორმოცი წლის განმავლობაში მდინარე ვერის სანაპიროზე ბინადრობდა. სამი წლის წინათ კი ცხოველი დაიღუპა და ზოოპარკიც უმისოდ დარჩა. ასე რომ, აქ პატარებს იმედი გაუცრუვდებათ — სპილოს ვერ ნახავენ. ნუთუ, ეს არ აღელვებთ ზოოპარკში და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოში, რომლის დაქვემდებარებაშიც არის ეს პარკი.

როგორც ზოოპარკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქ. გოცირიძემ თქვა, პარკის კოლექტივი ცდილობს აღადგინოს და წესრიგში მოიყვანოს მეურნეობა, რაც თავისთავად სპილოს ჩამოყვანასაც გულისხმობს. უფროსი თაობის დაკვირვებული ადამიანებისათვის ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანებში ზოოპარკში ყველაფერი წესრიგში არ იყო (ამის თაობაზე აქ თავის დროზე „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სათანადო წერილი), ასე რომ, უფროსებს შეუძლიათ მოთმინება გამოიჩინონ, მაგრამ პატარებს ამდენი როგორ მოვთხოვოთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ სპილოს ნახვა სურთ.

**გ. კოხელი.**

## „კომუნისტის“ პუბლიკაცია

# მეგობრობის ფურცლები

**„ნიკოლოზ ტიხონოვს თავდაპირველად მისი ლექსებით ვიცნობდი, ხოლო პირადად გავიცანი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. იმ ხანებში საქართველოში რუსი მწერლების დიდი დელეგაცია ჩამოვიდა: ნიკოლოზ ტიხონოვი, ბელეტრისტი პავლე პავლენკო, ვიქტორ გოლცევი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, საზოგადო მოღვაწე ქალი ალექსანდრა რიაბინინა და სხვები.**

**ერთ დღეს ჩამოსული სტუმრები ოჯახში სტუმრად მეწვივნენ. ჩემთან იყო აგრეთვე ცნობილი მხატვარი და რეჟისორი აკაკი ვასაძე. აკაკიმ ჩემი ლექსები ზეპირად იცოდა და რამდენიმე ლექსი წაიკითხა, „კახეთის დედოფალი“ კი მოსკოველ სტუმრებს რუსულად უთარგმნა, კოლიას ეს ჩემი ლექსი ძალიან მოეწონა და მეორე დღესვე თარგმნა.**

**იმ დღიდან დამკვიდრდა მე და ნიკოლოზ ტიხონოვს შორის მტკიცე და ურყევი მეგობრობა. იმავე წელს კოლია ჩემს სოფელ ჯუგაანში წავიყვანე. მანქანით წავედით. კახეთი მას ჯერ არ ენახა. გზადაგზა გადაშლილ თვალუწვდენელ ვენახებს და ბაღებს იგი აღტაცებაში მოჰყავდა. კახეთის ბუნების სილამაზით კოლია აღფრთოვანებული დარჩა. მას ისე შეუყვარდა ჯუგაანი, რომ ყოველ შემოდგომას, თავის მეუღლესთან მარიამ კონსტანტინეს ასულთან ერთად იგი ჯუგაანში ჩამოდიოდა და ორ-სამ თვეს ჩემთან რჩებოდა“. — წერს მამა ჩემი თავის მოგონებაში „ნიკოლოზ ტიხონოვი“.**

მართლაც, ძალიან უყვარდა ნიკოლოზ ტიხონოვს ჯუგაანში ყოფნა. მას ფეხით აქვს შემოვლილი მთელი სიღნაღის რაიონი. იგი ათვალიერებდა საინტერესო ადგილებს: წმინდა ნინოს მონასტერს, სიღნაღს და მის გალავანს, ძველი ეკლესიების ნანგრევებს, ალაზნის ნაპირებს და ჭიაურის ტყეს.

მაგრამ მალე ომმა დაარღვია საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება. ომის წლებში მეგობრები მიმოწერით უზიარებდნენ ერთმანეთს გულის ნადებს, ფიქრებს და ომის საშინელ სურათებს.

**„როგორ მინდა ახლა ვიყო თქვენთან, ძველი სახლის აივანზე ჯუგაანში, საიდანაც ხელის გულივით მოჩანს მთელი კავკასიონი. სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის მახსოვს, რომ გომბორის იქით არის მეგობრობის და ადამიანობის დიდი ცხოვრების წმინდა კუთხე — ჯუგაანი. დღე არ გავა, რომ არ გავიხსენო ჯუგაანში გატარებული ტკბილი დღეები, მთვარიანი საღამოები. რომ არ გაგიხსენო შენ, ჩემო ძმაო სანდრო, „კახეთის დედოფალი“ მარო და ჩემი გოგოები ციხია და ლატავრა. მე ისევ მალე ჩამოვალ, გულში ჩაგიკრავთ და გიამბობთ, რა საშინელება დაატრიალა ომმა ლენინგრადში“.**

**„ჩემო კოლია, ჩვენი მეგობრობა მთელი საბჭოთა ხალხის მეგობრობაა და გვწამდეს, რომ ეს დიდი მეგობრობა ვერაგ მტერს დაამარცხებს!“** — სწერდა ნიკოლოზ ტიხონოვს მამა.

კახეთისა და ჯუგაანის ტრფიალმა ნიკოლოზ ტიხონოვმა 1935 წელს დაწერა ლექსების ციკლი კახეთზე.

**„ძმაო სანდრო, დავწერე ლექსების ციკლი კახეთზე. მთელი რვეული ლექსებისა მაროს ვუძღვენი. აბა, მაშ ვისთვის უნდა მეძღვნა, თუ არა შენი მეუღლისთვის?“ (1935 წ. ლენინგრადი).**

ლექსების ეს ციკლი, მიძღვნილი დედაჩემისადმი, იმავე წელს ცალკე წიგნად მოსკოვში დაისტამბა, ხოლო მხატვრულად გააფორმა ჩვენმა ნიჭიერმა მხატვარმა თამარ აბაკელიამ.

მამას ბოლო დროს საგრძნობლად დააკლდა მხედველობა. ჟურნალ-გაზეთებს შვილები და შვილიშვილები ვუკითხავდით, წერით კი მიკარნახებდა და მე ვიწერდი. მამას სრულიად ნათელი გონება ჰქონდა და სიბერეს სოცრად განიცდიდა. ხანდახან ჩაფიქრდებოდა და მოწყენილი იჯდა ხოლმე საწერ მაგიდასთან. ერთხელ, როდესაც შევეკითხე: მამა, რატომ ხარ მოწყენილი, რაზე ფიქრობ-მეთქი, მიპასუხა:

**„უდროოდ წასული მეგობრები მაგონდებიან: ტიციანი, პაოლო, გოგლა, რაჟდენი... მაგონდება ვაჟას სიტყვები, როდესაც მან საავადმყოფოში სიკვდილის წინ მითხრა — სიცოცხლე ძალზედ ტკბილიაო. აი, მე გული ახალგაზრდული მაქვს. მინდა წამოვხტე, გავიქცე, გავიარბინო, გამოვირბინო, მაგრამ ძალა აღარ შემწევს, რას ვიზამ, შვილო, სიბერე გარდაუვალია. ხომ გახსოვს რუსთაველის სიტყვები: „სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია, დღეს არა ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია“.**

1979 წლის 2 თებერვალს მოსკოვში წავედი. გამომცემლობას მამას წიგნის მასალა ჩავუტანე. ჩემი გამგზავრების წინა დღეს მამამ თავს ძალა დაატანა და ტკბილ მეგობარს თავისი ხელით წერილი მისწერა — კოლიას გადაეცი დიდი სიყვარულითაო.

მოსკოვში ჩავედი თუ არა, სასტუმროდან პერედელკინოში, აგარაკზე დავურეკე ტიხონოვს. იგი ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა და პერედელკინოში ცხოვრობდა. ჩემი ხმის გაგონება მასპინძელს ძალიან გაუხარდა. ჯერ გამიჯავრდა, სასტუმროში რატომ გაჩერდიო, შემდეგ მითხრა: მანქანას გამოგიგზავნი და ახლავე აქ წამოდიო.

პერედელკინოში ჩავედი. ძია კოლიას აგარაკი თეთრი არყის ხეების ტყეში დგას. ამინდი შესანიშნავი იყო. ოცდაათი გრადუსი მშრალი ყინვა სრულიად არ იგრძნობოდა. ერთ მეტრამდე თოვლი მზის სხივებზე ლაპლაპებდა. ძია კოლია უკვე მელოდებოდა. სახლის წინ ეზოში ჩამოსულიყო და ჯოხით ხელში წინ და უკან პატარ-პატარა ნაბიჯებით ბოლთას სცემდა. როდესაც მივედი, ჭიშკრისკენ ზურგით იყო. შევჩერდი და მის მობრუნებას დაველოდე. მაინტერესებდა, შორიდან მიცნობდა თუ არა; როდესაც შემოტრიალდა და დამინახა, ჯერ შეჩერდა, შემდეგ ლატავრაო, — ხმამაღლა დაიძახა და ხელები გაშალა. მე გავიქეცი, მამაშვილურად ჩამიკრა გულში და ქვითინი აუვარდა. მეც ავტირდი.

დას, ანტონინა სიმონის ასულს, სუფრა უკვე გაეშალა. როდესაც ძია კოლია მამას წერილს კითხულობდა, თვალებიდან სიხარულის ცრემლები სდიოდა. გვერდზე დამისვა, მამაზე დიდხანს მელაპარაკა, ყველას ამბავი გამომკითხა. ბევრი რამ გაიხსენა, გამხიარულდა, სადილად ცოტა ღვინოც დალია. როდესაც საქართველოს სადღეგრძელო შესვა, ხელი გადამხვია და მითხრა: **„იცი, ჩემო ლატავრა, საქართველო ძალიან მენატრება, მენატრება ჯუგაანი, შემოდგომაზე უთუოდ ჩამოვალ ჯუგაანში, ვიცი, იქ გამოვჯანმრთელდებით“.**

საღამოს მოსკოვში დაბრუნება დავაპირე, მაგრამ ძია კოლიამ არ გამომიშვა და 7 თებერვლამდე პერედელკინოში დამტოვა. გვერდიდან არ მიშორებდა. ვინც კი მასთან მოვიდოდა, ყველას მამას წერილს უკითხავდა. 7 თებერვალს მოსკოვში დავბრუნდი, ძია კოლიამ პირობა დამადებინა, რომ ორი დღის შემდეგ ისევ ჩავიდოდი პერედელკინოში. **„მემუარების დაწერას ვაპირებ საქართველოზე და რამდენიმე ჩანაწერი მინდა წაგიკითხოო“.**

მეორე დღეს, დილით, ის იყო გამომცემლობაში დავაპირე წასვლა, რომ პერედელკინოდან დარეკეს ნიკოლოზ სიმონის ძე გარდაიცვალა, წუხელ დაიძინა და აღარ გაიღვიძაო. თავზარი დამეცა. გონს რომ მოვედი, მაშინვე პერედელკინოში წავედი.

...მამას ნიკოლოზ ტიხონოვის სიკვდილი დავუმალეთ, ვიცოდით, რომ მასზე ძალიან ცუდად იმოქმედებდა. ჩვენ კი დავუმალეთ, მაგრამ ინტუიციით თითქოს გრძნობდა, რომ ტიხონოვი აღარ იყო. ადრე ყოველდღე ახსენებდა, ტელეფონითაც გვარეკინებდა და ელაპარაკებოდა. ბოლო დროს კი აღარაფერს გვეკითხებოდა. მხოლოდ ერთხელ მითხრა: „კოლია ყოველთვე ორ-სამ წერილს მწერდა, ახლა კი რატომღაც აღარაფერს იწერებაო“. გავიდა ცოტა ხანი და 1979 წლის 28 ოქტომბერს მამაც მისი მეგობარივით ძილში გარდაიცვალა.

ასე ერთ წელიწადს, ერთნაირი სიკვდილით წავიდა ჩვენგან ორი დიდი მეგობარი ნიკოლოზ ტიხონოვი და სანდრო შანშიაშვილი.

**ლატავრა შანშიაშვილი.**

# ჭეშმარიტი ხელოვნება

**დიდი** სიხარული მოუტანა დასავლეთ საქართველოს რაიონების საზოგადოებრიობას სახელმოხვეჭილი თანამემამულის, იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის ლექსო თორაძის ხელოვნებასთან შეხვედრამ. პიანისტმა ჭეშმარიტად მაღალ ხელოვნებას აზიარა ქუთაისელი, ჭიათურელი, საჩხერელი, წულუკიძელი, სამტრედიელი, ზესტაფონელი, აბაშელი, ზუგდიდელი, ცხაკაიელი, მაიაკოვსკელი, თერჯოლელი, მახარაძელი, ბათუმელი, ფოთელი, ქობულეთელი, ჩოხატაურელი, ტყიბულელი მუსიკისმოყვარულები.

კონცერტებზე ჩვეული ელვარებით გაიბრწყინა ლექსო თორაძის ნიჭმა. კონცერტებზე შესრულდა უკიდურესად განსხვავებული სტილური თავისებურებისა და იდეურ-ემოციური შინაარსის ქმნილებები — ჰაიდნის სონატები მი ბემოლ მაჟორი და სოლ მინორი, სკარლატის ორი რემინორული სონატა, ლისტის ვარიაციები ბახის თემაზე ფა მინორი, რაველის საფორტეპიანო პიესების ციკლი „ანარეკლები“, სტრავინსკის ბალეტ „პეტრუშკადან“ „რუსული ცეკვა“, პროკოფიევის მეშვიდე სონატის ფინალი, შჩედრინის „იუმორესკა“.

ლექსო თორაძემ მართლაც განსაცვიფრებელი ხელოვნება გვიჩვენა — არაჩვეულებრივი ორიგინალობა და სიახლე. რაოდენ დიდი დიაპაზონი და მასშტაბებია — ჰაიდნისა და სკარლატის დახვეწილი, ფილიგრანული ორნამენტული ხელწერა, ლისტის ვარიაციების მგზნებარე დრამატიზმი, ფერწერული, კოლორიტული პალიტრის კონტრასტებითა და მრავალფეროვნებით აღბეჭდილი „ანარეკლები“, სტრავინსკის მოზღვავებული მოტორული დინამიკა, მკაფიო რიტმული პულსაცია, პროკოფიევის შმაგი მიწიერი იმპულსებით აღსავსე ვნებები, შჩედრინის ბალაგანური სახეების სარკასტული გაელვება.

დიახ, ლექსო თორაძისათვის უცხოა ამპლუა, მისი შემოქმედების მასშტაბები უსაზღვრო განფენილობისაა. ლექსო თორაძის ხელოვნებაში ერთდროულად ცოცხლობს ნათელი და ბნელი, რაინდი და პოეტი, მიწიერი და ღვთაებრივი, დემონი და ანგელოზი. ბუნებრივია, აქ დიდ როლს ასრულებს ნიჭი, რომელიც დამყნობილია საბჭოთა პიანისტური სკოლის საუკეთესო მიღწევებზე.

ლექსო თორაძის ხელოვნებასთან შეხვედრა მუსიკის დღესასწაულად იქცა.

**ე. არსენიძე,**
მუსიკათმცოდნე.

## მხატვრის ღიმილი



ლ. მართაშვილის ნახატი.

## ტელევიზია

### 5 აპრილი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.00 — „მოამბე“, 10.15 — კინონარკვევი, 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“, 11.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკვალანგი და ლასტები“, 11.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 12.00 — „ჯანმრთელობა“— სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — ტელეკურსელთათვის ქართული ენა და ლიტერატურა (სტუდიაში დოცენტი თ. კვაჭანტირაძე), 13.15 — „ვესტნიკი“, 13.45 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 13.50 — განვახორციელოთ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებები — „დელეგატი ყრილობიდან დაბრუნდა“, 14.10 — მოსწავლეთათვის — „აფრები ზღვაზე“, 15.10 — „ილუზიონი“, 17.10 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 17.15 — კინომოგზაურობის კლუბი (მ.). 18.15— საესტრადო კონცერტი, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.40 — „კინოაფიშა“, 20.15 — „საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პლენუმი“, 20.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 21.00 — „მოამბე“, 21.30 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 21.35 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნუ მოიწყენ შემოდგომისას“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 22.40 — კონცერტი — მღერის ცისანა ტატიშვილი.

## თეატრი

### 5 აპრილი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **კავალერიის შესვენება** (დღისით, მე-9 აბონ. პირველი წარმ.); **ქეთო და კოტე** (საღამოს, მე-19 აბონ. მეორე წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მშვენიერი ქართველი ქალი** (დღისით), **ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე** (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ეზოში ავი ძაღლია** (დღისით), **პროვინციული ამბავი** (საღამოს).


КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უა 11032 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20